პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 182 (13267) | ოთხშაბათი, 4 აგვისტო, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

შრომითი პატაკები

თბილისის კომუნისტური შრომის საწარმოს — კერამიკული კომბინატის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში შვიდწლედის უკანასკნელი წლის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის, საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის დავალება 74.400 მანეთის გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით დიდი რაოდენობით გამოუშვა მოხმარების საგნები. მარტო მოსაპირკეთებელი ფილები გამოშვებულია 4.100 კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა. ამავე დროისათვის შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელმა გეგმით გათვალისწინებულს 2,5 პროცენტით გადააჭარბა.

შვიდწლედის უკანასკნელი წლის საწარმოო დავალება შეესრულოთ ვადაზე ადრე, მივცეთ ქვეყანას მაღალხარისხოვანი პროდუქცია — ასეთი დევიზით შრომობს ახლა თბილისის № 8 მექანიკური ქარხნის კოლექტივი და წარმატებასაც აღწევს.

ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა და მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 36 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნა. დიდი რაოდენობით გამოშვებულია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

მოწინავენი

ახლა ყველგან უხვად მოჩანს „მწვანე ოქრო“. მეჩაიეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სასახელოდ შეასრულონ ფოთლის კრეფის საქმეში ნაკისრი ვალდებულება. თავი ისახელა ფალენჯიხის რაიონის სოფელ ფალენჯიხის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ წევრმა სულიკო კვარაცხელიამ. მისი პირობა იყო ჰექტარზე სეზონში მოეკრიფა 6 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული. ფაქტიურად პირობა ვადაზე ადრე შეასრულა, მოკრიფა 6.152 კილოგრამი ფოთოლი. ამავე კოლმეურნეობაში თავი გამოიჩინა გულნარა სახოლიამ, რომელმაც 0,4 ჰექტარზე მოკრიფა 4.364 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.300 კილოგრამისა, ხოლო ლენა ევსიძემ — 6.072 კილოგრამი ნაცვლად 6 ათასი კილოგრამისა.

ვადაზე ადრე გაანაღდა წლიური დავალება ფალენჯიხის მარტყის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა თათუშა მეჭიავამ. მან 0,7 ჰექტარზე მოკრიფა 7.020 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ და ამით დავალებას 1.020 კილოგრამით გადააჭარბა. ამავე კოლმეურნეობის წევრმა თამარ ზარქუა 0,4 ჰექტარზე მოკრიფა 4.990 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 4.500 კილოგრამისა, ჯვარის კოლმეურნეობის წევრმა ლიანა აქუბარდიამ 0,5 ჰექტარზე უკვე მოკრიფა 4.060 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 3.100 კილოგრამისა.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ გვიმბალაურის კოლმეურნეობის რგოლმა, რომელსაც მარო ბარამიძე ხელძღვანელობს, 2 ჰექტარზე მიიღო 10.260 კილოგრამი ჩაის ფოთოლი [illegible] წლიური გეგმა [illegible] 8.200 კილოგრამის [illegible] ნეობაში [illegible] ბარამიძე ხელძღვანელობს, 3,8 ჰექტარზე მიიღო 21.000 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ ნაცვლად 20.200 კილოგრამისა.

ფოთლის კრეფაში დაწინაურდნენ და წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ახალსოფლის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადის პირველმა რგოლმა, მეშვიდე ბრიგადის მეორე რგოლმა, მეორე ბრიგადის მეორე რგოლმა. სოფელ ჭანჭათის კოლმეურნეობის წევრმა დარეჯან წულაძემ 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 2.300 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 2 ათასი კილოგრამისა, გოგუცა ტოროტაძემ — 2.170 კილოგრამი ნაცვლად 1.600 კილოგრამისა, ნელი წულაძემ — 2.200 კილოგრამი ნაცვლად 2 ათასი კილოგრამისა, ზაირა ციხაძემ 2.150 კილოგრამი ნაცვლად 1.600 კილოგრამისა, გულნაზი გოგუაძემ — 1.380 კილოგრამი ნაცვლად 1.100 კილოგრამისა.

სასახელოდ იმუშავეს და „მწვანე ოქრის“ კრეფის წლიური გეგმები უკვე გაანაღდეს ლრმაღელის კოლმეურნეობის წევრებმა შურა მარშანიშვილმა, ციცინო მანიამ, სონია თოდუამ, აგრაფინა ბოლქვაძემ, ნინოშვილის კოლმეურნეობის წევრებმა ლამარა ანთაძემ, ნაილი კუპრაძემ, ქეთო, ციური გოგუაძეებმა, ხიდმალალის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა აგრაფინა ჭინჭარაძემ, მარო გოგუაძემ, ლიდა ძიძიგურმა, თამარ ვასაძემ, ციცინო ძიმისტარაშვილმა, ვერა გაბელიამ, ანა ფირცხალაშვილმა და სხვებმა.

• • •

სურათზე: ლ. აკუბარდია.

დავალება გადაჭარბებით შეასრულეს

ნათესი და ბუნებრივი ბალახების თიბვაში დაწინაურდნენ ყაზბეგის რაიონის მშრომელები. გეგმით უნდა გაეთიბათ 3.088 ჰექტარი. ეს დავალება 123,1 პროცენტით შეასრულეს.

ბოლნისის რაიონის მთიბავების პირობა იყო 5 აგვისტომდე გაეთიბათ 2.096 ჰექტარი ნათესი და ბუნებრივი ბალახი. როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს პირველი აგვისტოს ცნობებით ჩანს, აღნიშნული დავალება გადაჭარბებით შესრულდა.

შენი საპატიო ვალია, დახლის მუშაკო!

ახლის მუშაკი! ამ პროფესიის ადამიანს, რაც უნდა ვეცადოთ, გვერდს ვერ ავუვლით. მას თითქმის ყოველდღე ვხვდებით. ქმაყოფილი ვართ, როცა ჩვენს მოწონებულ ნავაჭრს გვაწვდის ხელმარდი მუშაკი, თანაც გვიღიმის და გვეუბნება: „ინებეთ, ბედნიერებაში მოგახმაროთ“. ვკვრდებით, გვწყინს, როცა უხეშად გვიპასუხებს, ცუდად გვემსახურება, დაყოვნდება და ზედმეტ წუთებს დაგვაკარგვინებს მაღაზიაში. თუ როგორ ასრულებს დახლის მუშაკი თავის მოვალეობას, ამაზე დამოკიდებულია მაღაზიის მთელი საქმიანობა, მყიდველის გუნებაგანწყობა.

ჩვენი დედაქალაქის, რესპუბლიკის ქალაქების და რაიონული ცენტრების ყოველ კვარტალში, ქუჩაზე, სოფლებში არის მშვენიერი სამრეწველო და სასურსათო მაღაზიები. სადაც უხვად არის ყველა სახეობის პროდუქცია. მაგრამ ხშირად ნახავთ მყიდველს, როცა ის ცდილობს გვერდი აუაროს მის საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე მაღაზიებს, არჩევს შორს წავიდეს. თავაზიანი გაშყიდველისაგან შეიძინოს საჭირო პროდუქცია და შინ ნასიამოვნები დაბრუნდეს.

ვაჭრობა, ვაჭრობის ოსტატობა არც ისე მარტივი საქმეა, როგორც ერთი შეხედვით გეგონება კაცს. დახლის მუშაკმა უნდა იცოდეს, როგორ შემოგთავაზოს საქონელი, ჩინებულად ერკვეოდეს მის თავისებურებასა და ღირსებაში.

ასეთი თავაზიანი ახალგაზრდა მუშაკი ბევრია ჩვენი რესპუბლიკის სავაჭრო მაღაზიებში. აი ერთი მათგანი: მარგარიტა ფიცხელაურმა 1959 წელს დაამთავრა სავაჭრო კულინარული სკოლა და მუშაობა დაიწყო თბილისის № 24 გასტრონომიულ მაღაზიაში. წლების განძილზე ერთი მომხმარებელიც არა ყოფილა მომდურავი. პირიქით, ყველა მყიდველი ხელმარდ და თავაზიან კომკავშირელ გოგონას კარგი მომსახურებისათვის მადლობას ეუბნება. როცა მოწონავე, პატიოსანი და კეთილსინდისიერი გამყიდველის დაჯილდოების საკითხი დადგა, ყველამ არჩევანი მარგარიტაზე შეაჩერა. იგი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ საპატიო სიგელით დაჯილდოვა.

მყიდველები კმაყოფილი არიან თბილისის ელექტროსაჰონლის № 35 მაღაზიის დახლის მუშაკის ანეულინა პაპიაშვილის შუამობითაც. იგი მეტად თავაზიანია, იცის, რა ურჩიოს მყიდველს. „კიდეკაც რომ არ გინდოდეს, მაინც იყიდი ასეთი გამყიდველისაგან“, — ხუმრობენ ხოლმე მყიდველები.

იგი ამ სისტემაში 1961 წელს მოვიდა სიმწიფის ატესტატით. მალე დაეუფლა ვაჭრობის საქმეს და მაღაზიის კოლექტივისა და მომხმარებელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. კარგი მუშაობისათვის, სოციალისტურ შეჯიბრებაში სისტემატური გამარჯვებისათვის, მომხმარებელთან თავაზიანი მოპყრობისათვის მრავალი მადლობა აქვს გამოცხადებული. მიღებული აქვს ფასიანი საჩუქრები. თავაზიანი და ერთგული მუშაკის შრომა კიდევ უფრო ღირსეულად დააფასეს. იგი თბილისის კიროვის რაისაბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ანეულინას გადწყვეტილი აქვს საავაჭრო ოსტატობის ასამაღლებლად წელს ვაჭრობის ტექნიკუმში შევიდეს.

ახე სცემენ პატივს და ღირსეულად აფასებენ ჩვენს ქვეყანაში ყოველი პროფესიის ადამიანთა პატიოსან, კეთილსინდისიერ შრომას

ვაჭრობაში მომსახურების კულტურა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია დახლის მუშაზე. იგი და მყიდველი — ორივე მშრომელია. და რა კარგია, როცა მათ შორის მყარდება ურთიერთპატივისცემა, კეთილგანწყობილება, გულისხმიერება.

დიდი და სახარგებლოა, როცა დახლის მუშაკსა და წარმოების მუშაკებს შორის საქმიანი ურთიერთობა მყარდება. თბილისის ცენტრალური უნივერმაღის მუშაკები ხშირად მიდიან თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკაში, ეუბნებიან მომხმარებელთა პრეტენზიებს იქ გამოშვებულ ნაწარმზე, წარმოების მუშაკებიც ხშირად მიდიან მაღაზიაში, დგებიან დახლში და უყურებენ თუ როგორ საღდება მათი საქონელი. ფაბრიკასთან ასეთი საქმიანი კონტაქტები ხელს უწყობს ნაწარმის უკეთ გათვალისწინოს მომხმარებლის მოთხოვნილება და აწარმოოს ის, რაც ხალხს უნდა. ასეთმა საქმიანმა ურთიერთობამ კეთილსასურველი შედეგი გამოიღო. ამ ფაბრიკის მიერ გამოშვებული ნაწარმი მაღაზიის თაროებზე კი არ ხუნდება, მას მომხმარებელი სიამოვნებით ყიდულობს.

ჩვენი რესპუბლიკის მაღაზიებში ამ ბოლო დროს მოსახლეობის მომსახურეობის ბევრი კარგი მეთოდი დაინერგა. თბილისის მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე ქსოვილების მაღაზიაში გამომჭრელი აიუვანეს. მომხმარებელი ქსოვილს რომ შეიძენს, მას იქვე შეუძლია მისთვის სასურველი მოდაზე გამოაჭრევინოს, მერე თვითონ დაამთავროს სახლში, ეს ყველა მომხმარებლისათვის მეტად სასარგებლო და ხელმეხაწყვდომია. ამაზე ნათლად მეტყველებს ის, რომ აქ მუდამ ბევრი ხალხია. სოფლის ბევრ კოოპერატივს, დახლის მუშაკს მოსავლის აღების დროს საქონელი მიაქვს უშუალოდ საველე ბანაკებსა და მეცხოველეობის ფერმებში. მომსახურების ამ და სხვა პროგრესულ ფორმებს ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი, წავაგალიოთ გამყიდველები, რომლებიც ინიციატივას იჩენენ.

მიუხედავად სავაჭრო ქსელის მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს. ზოგიერთ მაღაზიაში რიგები დგება, საკმაო არ არის საქონლის შენარჩევი, რადგან დროზე არ მიუტანიათ ბაზებიდან და საწყობებიდან. განა შეიძლება შეურიგდეს ამას გამყიდველი? რა თქმა უნდა, არა. ასეთ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა დამოკიდებულია უწინარეს ყოველისა თვით ვაჭრობის მუშაკებზე, მათ შეგნებულობაზე. იმაზე, თუ როგორ ეხმით თავიანთი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულ მაღაზიაში მუდამ იყოს საჭირო საქონელი ფართო ასორტიმენტით. გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის წინააღმდეგ.

შეუწყნარებელია მყიდველისადმი უპატივცემლობის ფაქტები. სწორედ ამის გამო ხშირად დიდ ხაყვედურს გამოთქვამენ მყიდველები ვაჭრობის მუშაკების მიმართ: „დახლის მუშაკმა უხეშად მოგვმართა, წონაში მოგვატყუა, ხურდა დაგვაკლო“, — ასეთი ჩანაწერებს ხშირად ნახავთ საჩივრის წიგნებში. ეს, როგორც წესი, ხდება იქ, სადაც მაღაზიების, სავაჭრო ორგანიზაციების, კოოპკავშირების ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები ცუდად ზრუნავენ გამყიდველთა აღზრდისათვის, არ ქმნიან საზოგადოებრივ აზრს საბჭოთა ვაჭრობის ელემენტარული წესების დაშრღვევთა წინააღმდეგ.

ყოველდღე ჩვენს რესპუბლიკაში მწყობრში დგება ბევრი ახალი მაღაზია, მათთვის საჭირო ახალგაზრდა კვალიფიციური კადრები. შარშან და წელს ვაჭრობაში მუშაობა დაიწყო მრავალმა ახალგაზრდამ. ბევრი ქალიშვილი და ჭაბუკი კომკავშირული საგზურებით გაიგზავნა ვაჭრობის ქსელში. მათ უნდა დაეუფლონ უნარიანი, კულტურული მუშაკები გახდნენ.

ვაჭრობის მუშაკებს უნდა მოვთხოვოთ, რომ მყიდველებისადმი, თავაზიანი და პატიოსანი იყონ. მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავიტოვოთ, რომ მათაც უნდა შეეუქმნათ მუშაობის ნორმალური პირობები. ხშირია შემთხვევა, როცა დახლის მუშაკ ქალებს უძნელდებათ ბავშვები მოიწყონ ბაგასა თუ სბავშვო ბაღში, ნაკლებად ზრუნავენ მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საჭიროა ძირეულად შეეცვალოთ ის მდგომარეობა, როცა ზოგან ჯერ კიდევ უგულებელყოფენ ვაჭრობის მუშაკებს, რომლებიც ისევე სახარგებლო არიან ჩვენი საზოგადოებისათვის, როგორც სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგის მუშაკები.

საბჭოთა ვაჭრობის განვითარება და სრულყოფა ჩვენი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა. დიდია ამ უბანზე თვით დახლის მუშაკის როლი და პასუხისმგებლობა.

ავღანეთის მეფე მოსკოვს ჩამოვიდა

მოსკოვი, 3 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით დღეს მოსკოვს ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაპირ შაჰი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, საპატიო სტუმრს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. ს. ძოწენიძე და სხვა ოფიციალური პირნი.

შემხვედრთა შორის იყვნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები, სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

ვვიდწლედი—ვადაზე!

მარგანეცი 1966 წლის ანგარიშში

ჭიათურის კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა — შვიდი თვით ადრე შეასრულა მაღალხარისხოვანი მარგანეცის გამოშვების შვიდწლიანი გეგმა და 1966 წლის ანგარიშში ათასობით ტონა მადნი მიაცა სამშობლოს.

აღსანიშნავია, რომ შვიდწლედის პირველ ორ წელს ჩვენი მაღაროო ზარალით მუშაობდა. მაგრამ დავნერგეთ მარგანეცის ღია წესით დამუშავების მეთოდი, მწყობრში ჩავაყენეთ შვიდწლედის პირმშო — მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა, და რენტაბელობის გზით წავედით. საკმარისია ითქვას, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით შვიდწლედის ეკონომიის რესპუბლიკურ ფონდში შევიტანეთ 654.100 მანეთი.

რესპუბლიკის საწარმოთა შორის გაბლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი მაღაროს კოლექტივმა მრავალჯერ გაიმარჯვა, ოთხჯერ მოიპოვა პირველი ადგილი, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ჯარდმავალი წითელი დროშა.

ამ წარმატებაში თავიანთი შრომითი წვლილი შეიტანეს იმ უბნების კოლექტივებმა, რომლებსაც შ. კაპანაძე, გ. ჭუმბერიძე, ა. ფერაძე, ე. ლეჟავა და ი. ბუღალიე ხელმძღვანელობენ, ავტოთვე კომუნისტური შრომის დამკვრელებმა ე. გაფრინდაშვილა, მ. ღუღუნიშვილმა, კ. ბედინაშვილმა, ბ. ჩუბინიძემ და სხვ.

ჩვენი მაღაროს კოლექტივი იმისათვის ებრძვის, რომ შვიდწლიანი გეგმის გადამეტებით მიაცეს სამშობლოს ასი ათასობით ტონა მარგანეცი.

ინჟინერი ს. კვარაცხელია.
ჭიათურა, კალინინის სახელობის მაღაროს დირექტორი.

ზეგეგმითი პროდუქცია

მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოთა შორის გაბლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 125 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ქართული ავტომობილი — პარის ყანებში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი წარმატებით ასრულებს საპატიო დავალებას — სპეციალური განრიგით, პირველი მოთხოვნისთანავე გზავნის „კაზ-606“ მარკის ავტოგამწეებს მოსავლის აღებაზე.

გამწე ავტომობილებით დატვირთული ეშელონები უკვე გაიგზავნა უკრაინაში, ავრეთვე ორენბურგში, ომსკში, სტავროპოლში, რსფსრ სხვა ოლქებსა და მხარეებში.

ქართული ავტომობილები იგზავნება ავრეთვე ყაზახეთის, თურქმენეთისა და სხვა რესპუბლიკების პურის ყანებში.

იზრდება ქიმიური მრეწველობის სიმძლავრე

სსრ კავშირის მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ დღეს შეაჯამა მინერალური სასუქებისა და მათი ნედლეულის საწარმოო სიმძლავრეთა ვადამდე და დროულად ამუშავებისათვის საშშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა კოლექტივების სრულიად საკავშირო შეჯიბრების შედეგები.

1965 წლის მეორე კვარტალში სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა რამდენიმე კოლექტივმა. მათ შორის კინგისეპის კომბინატ „ფოსფორიტის“ მშენებლებმა. აქ დადგენილ ვადაში გადასცეს საექსპლოატაციოდ სიმძლავრენი, რომლებიც წელიწადში გამოიმუშავებენ 840 ათას ტონა ფოსფორის ფხვნილს.

სოციალისტური ვალდებულებანი წარმატებით შეასრულეს აგრეთვე ჩერკასკის ქიმიური კომბინატისა და გროდნოს აზოტიანი სასუქის ქარხნის მშენებლებმა. ამ საწარმოებში ამუშავდა ამიაკის წარმოების დანადგარები. ყოველწლიურად ისინი გამოუშვებენ ათი ათასობით ტონა ძვირფას ქიმიურ ნედლეულს.

დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე ბერეზნიკის სოდის ქარხნის მშენებლებმა. აქ ვადამდე გადასცეს საექსპლოატაციოდ აგრეგატები, რომლებიც ამზადებენ ქლორბენზოლს — ნედლეულს, მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებათა წარმოებისათვის.

სსრ კავშირის სასმშენის კოლეგიამ შეაჯამა აგრეთვე სასოფლო მშენებლობის სპეციალიზებული ტრესტების, მოძრავი მექანიზებული კოლონებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოების კოლექტივთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. გამარჯვებულთა შორის არიან აბაკანის „ყამირმშენის“, ვოლგოგრადის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის, ბურიატეთის „ყამირმშენის“ და სხვა ტრესტები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს მიენიჭათ სსრ კავშირის სახმშენისა და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები.

(საკდესი).

მთელ ჩვენს ქვეყანაში კარგად არის ცნობილი თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის პროდუქცია. მაღალი სიზუსტის ჩარხების შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქარხნის მოწინავე ახალგაზრდობას — მუშებს, ოსტატებს, ინჟინრებს.

სურათზე: მექანიკური საამქროს მოწინავე ადამიანები — ახალგაზრდა ოსტატი ნოდარ ციხკარაძე (მარცხნივ) და მოწინავე მრანდავი კომუნისტი ივანე გორდეიკო.

ფოტო ს. კილაძისა.

უნდობლობის რეზოლუცია უარყვეს

ლონდონი, 3 აგვისტო. (საკდესი). 2 აგვისტოს ინგლისის თემთა პალატაში მიმდინარეობდა კამათი კონსერვატიული ოპოზიციის რეზოლუციის გამო, რომელიც უნდობლობას უცხადებს ვილსონის მთავრობას.

კამათი დაიწყო პალატის კონსერვატორთა ლიდერის როლში პირველად გამოსულმა ე. ჰიტმა. მის კალამს ეკუთვნის რეზოლუცია, რომელიც გმობს მთავრობას იმის გამო, რომ „არა აქვს ქვეყნის მართვის უნარი“. კონსერვატორთა ხელმძღვანელობა მეტად გულდასმით ემზადებოდა კამათისათვის იმ მიზნით, რომ, როგორც აქ აცხადებენ, ეემაღლებინა პარტიის მორალური სულისკვეთება. ე. ჰიტმა ვილსონს ბრალად დასდო, რომ იგი და მისი მთავრობა თანდათან კარგავენ ნდობას როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

ამასთანავე, მკაცრად აკრიტიკებდა რა თემთა პალატაში თავის მოწინააღმდეგეთა კურსს, კონსერვატიული პარტიის ლიდერმა ვერ დასახა რამე კონკრეტული პროგრამა, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობდა ახლანდელ სიძნელეთა გადალახვას ინგლისის ეკონომიკაში.

ეს სუსტი ადგილი ჰიტის სიტყვაში დაუყოვნებლივ გამოიყენა ფინანსთა მინისტრმა კალაგანმა, რომელმაც სიტყვა აიღო მთავრობის სახელით. მინისტრმა აღიარა, რომ ინგლისი ახლა შეგროვილი საგარეო სავალდასახდელო ბალანსის დეფიციტით. მან აგრეთვე აღიარა, რომ სამხეღრო ვალდებულებანი, რომლებიც ინგლისს აკისრია მრავალი წლის მანძილზე, ძვირი ტვირთად აწევენ ინგლისელ ხალხს.

უნდობლობის რეზოლუცია უარყოფილ იქნა მხოლოდ 13 ხმის უმრავლესობით (303 ხმით 290 ხმის წინააღმდეგ).

ახალი პროტოკ�ციები

ჰავანა, 3 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის სახელმწიფოთა შეიარაღებულმა ძალებმა კვლავ დაარღვიეს შეთანხმება დომინიკის რესპუბლიკაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და ცეცხლი დაუშინეს ფრანსისკო კაამანოს კონსტიტუციური მთავრობის საკონტროლო პუნქტს.

როგორც პრენსა ლატინას სააგენტო იუწყება, ამერიკის სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების შტაბმა განაცხადა, რომ არაფერი იცის ამ ინციდენტის შესახებ.

მღელვარე სხდომა

ათენი, 3 აგვისტო. (საკდესი). გვიან, ნაშუადამეს დამთავრდა საბერძნეთის პარლამენტის 2 აგვისტოს დაწყებული სხდომა, რომელიც მოწვეული იყო იმ მიზნით, რომ კენჭი ეყარათ აფანასიადის-ნოვასის მთავრობისადმი ნდობის საკითხისათვის. ისე როგორც ამას წინათ, მთავრობამ ვერ მიაღწია იმას, რომ სხდომაში მონაწილეობა მიეღო იმდენ დეპუტატს, რამდენიც უზრუნველყოფდა კვორუმს, რომელიც საჭიროა კენჭისყრისათვის.

პარლამენტის სხდომა დაიწყო ათასობით დემონსტრანტების მრისხანე შეძახილებით, რომლებმაც თავი მოიყარეს ათენის ქუჩებში.

აფანასიადის-ნოვასის გამოსვლას პარლამენტში დეპუტატები შეხვდნენ დაცინვით და შეძახილებით, მოითხოვდნენ მის დაუყოვნებლივ გადადგომას.

კამათის ღროს ცხარე შეხლა-შემოხლა მოხდა მთავრობის მომხრეებსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის. საქმე ხელჩართულ ბრძოლამდეც კი მივიდა.

სხდომა განაგრძობა დღეს საღამოს 8 საათზე მოსკოვის დროით.

ჩამოგდებულია კიდევ 4 სვავი

ჰანოი, 3 აგვისტო. (საკდესი). კიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეიარაღეებისა ძალებმა კვლავ ჩამოაგდეს ამერიკის კიდევ 4 თვითმფრინავი, იუწყება კიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

200.000 ტონა ჩაისაფოთლის!

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება

1965 წლის 1 აგვისტოსათვის (ტონობით)

რაიონები	გეგმა 1965 წლის		შესრულება		გეგმის შესრულების პროცენტი	
		ივლისი	სულ ივლისის ჩათვლით	ივლისში	წინა	ივლისში
აფხაზეთის ასსრ	30955	6810	19054	7140	61,6	104,8
გულრიფშის	1340	295	995	286	74,3	96,9
გალის	16065	3583	9793	3602	61,0	102,0
გუდაუთის	3200	704	2028	705	63,4	100,1
ოჩამჩირის	10350	2278	6285	2547	60,8	111,8
აბაშის ასსრ	30678	6750	23405	7896	76,3	117,0
ბათუმის	8211	1807	6650	2074	81,0	114,8
ქობულეთის	22137	4881	16515	5739	74,4	117,6
ქედის	280	62	240	83	85,7	133,9
მახარაძის	36280	7981	24047	9132	66,3	114,4
ზუგდიდის	23765	5229	15700	6060	66,1	115,9
ფალენჯიხის	11350	2496	8050	3592	70,9	143,9
ლანჩხუთის	10000	2200	6658	2490	66,6	113,2
გეგეჭკორის	8355	1839	5603	2310	67,1	125,6
ჩხოროწყუს	7560	1664	5600	2361	74,1	141,9
ჩოხატაურის	5350	1177	3970	1448	74,2	123,0
ტყიბულის საქალაქო საბჭო	4050	891	3342	1360	82,5	154,9
წყალტუბოს	3940	867	3432	1362	87,1	157,1
წულუკიძის	3650	803	2788	1103	76,4	137,4
ცხაკაიას	3540	779	3015	1295	85,2	166,2
ხობის	3262	718	2566	1091	78,7	151,9
საგარეჯიის	1145	252	917	312	80,1	123,8
აბაშის	405	90	300	143	74,1	158,9
თარჯოლის	320	70	286	113	89,4	161,4
ბიათურის საქალაქო საბჭო	250	55	212	76	84,8	138,2
ვანის	100	22	88	34	88,0	154,5
ზესტაფონის	45	11	23	9	51,1	81,8
სულ	185000	40704	129056	49347	69,8	121,2
იყო 1965 წლის 1 აგვისტოსათვის	175000	38500	133917	39105	76,5	101,6

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 3 აგვისტოს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 76 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

იოსებ გრიგოლის-ძე გრიშაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს ცხოვრება

საიმედო გარანტია

პოტსდამი, 2 აგვისტო. (საკადესი). საკავშირო კორესპონდენტი ე. **ბაშმაჩნიკოვი** იუწყება: 20 წლის წინათ, 1945 წლის 2 აგვისტოს, აქ ხელი მოწერეს პოტსდამის შეთანხმებებს. იმ ისტორიულ დღეს ანტიჰიტლერული კოალიციის სამმა სახელმწიფომ მიიღო შეთანხმებული გადაწყვეტილება, თუ როგორ მოეწყოთ ომისშემდგომი გერმანიის ცხოვრება დემოკრატიულ საფუძველზე და უზრუნველეყოთ ევროპის უშიშროება.

ამ ღირსსახსოვარი თარიღის აღსანიშნავად დღეს პოტსდამში შეიკრიბნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელი მოღვაწეები, რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები. საზეიმო კრება, რომელიც დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნულმა საბჭომ მოიწვია, გახსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარემ პროფესორმა ი. დიკმანმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოტსდამის შეთანხმებანი შეიასებამება გერმანელი ხალხის საარსებო ინტერესებს და ღღესაც შეიძლება საფუძველად დაედოს ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის.

შეკრებილთ ვრცელი სიტყვით მიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ო. გროტევოლმა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ხაზი გაუსვა მან, ზუსტად იცავს პოტსდამის შეთანხმებებს, დასავლური გერმანია კი დასავლეთის სახელმწიფოთა მხარდაჭერით ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც უხეშად აროვლევს ამ შეთანხმებებს. ბუნდესვერი ახლა უძლიერესი არმიაა დასავლეთ ევროპაში. მისი მეშვეობით დასავლეთგერმანელ რევანშისტებს სურთ გადაისინჯოს მეორე მსოფლიო ომის შედეგად ჩამოყალიბებული საზღვრები. ბონის კურსი სულ უფრო აშკარადება — ეს არის ახალი ომის მომზადება. ამისთვის იღებენ „საგანგებო კანონებს“ და ამისთვის ცდილობენ ხელი დაადონ ატომური იარაღი.

ასეთი კურსის საწინააღმდეგოდ, ხაზი გაუსვა ო. ვინცერმა, ჩვენ მტკიცედ და მკაფიოდ ვაცხადებთ: გერმანიის გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ პოტსდამის შეთანხმებათა იმ ძირითადი პრინციპების თანმიმდევრული განხორციელებით, რომელთა მიზანია განიარაღება და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფა, შესაძლებელია ორივე გერმანული სახელმწიფოს ერთიერთობა ნორმალიზაციით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნამდვილი დემოკრატიზაციით. ორივე გერმანული სახელმწიფოს ერთიერთგაგებისა და დაახლოების გზაზე, აღნიშნა მან, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იმ წინადადებათა განხორციელება, რომ ორივე სახელმწიფომ უარი თქვას ატომური იარაღის წარმოებაზე, გამოყენებასა თუ მოპოვებაზე.

დასასრულ ო. ვინცერმა ხაზი გაუსვა, რომ მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დაიდო, გერმანიის პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს განვითარების სიდიდით გარანტიაა. ეს სახელმწიფო განუხრელად იცავს პოტსდამის შეთანხმებებსა და ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

ნიუ-იორკი. ნიუ-ჯერსის შტატის ფორტ-მონმუტის სამხედრო ბაზასთან გაიმართა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ მიმართული მორიგი საპროტესტო დემონსტრაცია.. დემონსტრაციის მონაწილეები ლუზუნგებით „ჯონსონი მშვიდობაზე. ლაპარაკობს, თვითონ კი ომს აწარმოებს“ ორი საათის განმავლობაში პიკეტობდნენ ბაზასთან, სადაც სპეციალურ მომზადებას გადიან სამხრეთ ვიეტნამის არმიის ოფიცრები.

გმოობენ აგრესიას

ლონდონი. „ინგლისის მთავრობამ უნდა შეწყვიტოს მხარდაჭერა შეერთებული შტატების პოლიტიკისათვის. მან უნდა მოითხოვოს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვის შეწყვეტა და ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა შესრულება, ვიეტნამიდან ამერიკის მთელი ჯარების, აგრეთვე თანამეგობრობის ქვეყნებისა და სხვა ქვეყნების ჯარების გაყვანა. — ნათქვამია ინგლისის საზოგადოებრივი ორგანიზაციის —. „კოლონიათა თავისუფლებისათვის მოძრაობის“ განცხადებაში.

ჯაკარტა. პრეზიდენტმა სუკარნომ სიტყვა წარმოთქვა ინდონეზიის სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურთა შემადგენლობის თათბირზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მებრძოლ ვიეტნამელ ხალხს ახასიათებს „მძლავრი საბრძოლო სულისკვეთება და მოკალთობის დიდი გრძნობა“, რაც უზრუნველყოფს ვიეტნამელი ხალხის გამარჯვებას ამერიკულ ბრძოლაში ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. დაგმო რა უკანასკნელი ღონისძიებანი ამერიკის მთავრობისა, რომელიც დაადგა ვიეტნამის აგრესიული ომის გაფართოების გზას, სუკარნომ მოუწოდა ამერიკის მთავრობას შეწყვიტოს შეიარაღებული ინტერვენცია აზიის ხალხთა წინააღმდეგ.

კაირო. „შეერთებული შტატები არაფრად აგდებენ საპროტესტო მოძრაობებს, უდიდეს უკმაყოფილებას მთელ მსოფლიოში, უგულებელყოფენ ყველა ცდასა და მეცადინეობას, რომელთა მიზანია ბოლო მოეღოს სისხლისღვრას ვიეტნამში, — წერს გაზეთი „ალ-აჰბარის“ მიმომხილველი მუჰამედ გუნეიმი. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, აღნიშნავს ავტორი, მთლიანად იმის მომხრეა, რომ მშვიდობიანად მოწესრიგდეს ვიეტნამის კრიზისი.

ტოკიო. „იაპონიის მთავრობამ უარი უნდა უთხრას შეერთებულ შტატებს იაპონის სამხედრო ბაზების გამოყენებაზე ვიეტნამში საომარი მოქმედებისათვის და დაარწმუნოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან“. — განაცხადა დეპუტატმა იაპონიის სოციალისტური პარტიისაგან კოძო სასაკიმ, რომელმაც შეკითხვა შეიტანა პარლამენტის სესიაზე. უპასუხა რა შეკითხვაზე, იაპონიის პრემიერ-მინისტრმა სატომ ფაქტიურად მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების „ვიეტნამის ომის ესკალაციის კურსს“. პარლამენტის ოპოზიციამ უკმაყოფილება გამოთქვა პრემიერ-მინისტრის პასუხების გამო და მოითხოვა იაპონიის მთავრობის საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლა. (საკადესი).

ფოტოეპრანი

აფრიკის ყველაზე მაღალი მთის კილიმანჯაროს სამხრეთით და აღმოსავლეთით გადაშლილია ვრცელი ველები, რომლებიც ალა-იქ გადასერილია ვორაკებით. აქ ბინადრობენ ზებრები, ჟირაფები და, რა თქმა უნდა, ანტილოპები. ჯერ ზე მაქანით მიეცოცხარ, სულ რაღაც ასოოდე მეტრზე კი საკანაში მწყრივად გარბის ზებრების მთელი ჯოგი. უეცრად მიბრუნდებიან და საშინელი სისწრაფით გაეშურებიან [illegible] ჯიქები ბევრია ქალაქ არუშას მიდამოებში, რომელიც [illegible] ქალაქ ქიანინან. არუშას განაპირას ცხოვრობს პატრიკ ჰემინგუეი, [illegible] ამერიკელი მწერლის შვილი.

მე ვყოფილვარ მის სახლში: კედლები [illegible] ნადირევი არის დაფარული. პატრიკი ჯერ კიდევ მოზარდი იყო, ერნესტ ჰემინგუეის თან რომ დაჰყავდა სანადაროდ, როცა ალმოსავლეთ აფრიკის სივრცეებში მიმოდიოდა. იატაკზე დაფენილია ნადირის ტყავები, კედლებზე კი მიკრულია გნუ, ბოსგო, კინგონი, იმპალა ანტილოპების თავები. მერე როგორი რქებია: ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოებები! პატრიკს, როგორც მამამისს, აფრიკის ბევრი ქვეყანა შემოუვლია, ხშირად მოუწყვია ინვალიდთა მტაცებლების საშინი დევნა, ნადირობა და ლიტერატურა — მე ვგონებ, ამით ცოცხლობს პატრიკის მთელი ოჯახი. მამის ხსოვნა წმიდათა-წმიდაა. ყველგან ხედავ ჰემინგუეის პორტრეტებს, მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე გამოცემულ მის წიგნებს; ცოტა ხანი გავა, და მათ მიემატება პატრიკის წიგნიც: მას შეუძლია ბევრი რამ გვიამბოს „ეგერზე“, როგორც განსვენებულ მწერალს უწოდებენ.

შეხვედრის სახსოვრად ფოტოსურათები დარჩა. ამ სურათზეა პატრიკი თავის გოგონა ედვინასთან ერთად, რომელიც ჯერ კიდევ ვერ და ვერ ამბობს თავის ძნელ გვარს, მაგრამ მკაფიოდ წარმოთქვამს ანტილოპა ბ ი ს სახელწოდებებს...

ნ. ხოხლოვი.
(„იზვესტია“).

ადგილობრივი ამბავი

... ...

... ...

... ...

მკითხველი გვირჩევს, ამხილებს

ამ გვერდზე წაიკითხეთ:

- ვაშენოთ ეკონომიურად, მოხერხებულად, დამაზად
- მეტი ყურადღება საგაზეთო ვიტრინებს
- ეწვიეთ ბუნებას, მუშობლიურ შრომაუნარიანობა-მოსვენებას

ეპოქისა და ქალაქის შესატყვისი

დღევანდელობა, არქიტექტურა და მშენებლობა

საბჭოთა არქიტექტურამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწია. ის პრინციპული მნიშვნელობის ძვრა, რომელიც ხუროთმოძღვრულ შემოქმედებაში მოხდა, საფუძვლად დაედო როგორც მშენებლობის მასშტაბებს, ისე თვით ადგებულ ობიექტთა საინჟინრო-მხატვრულ ხარისხსაც. თვით ფაქტი, რომ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედმა მიიღო კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინა, თავისთავადაც ბევრის მთქმელია. საბჭოთა არქიტექტურა ხარისხობრივად ახალ საფეხურზე ავიდა.

მნიშვნელოვანია ქართველ ხუროთმოძღვართა წარმატებანი. ახალი საცხოვრებელი მასივები, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი, ქალაქად თუ სოფლად ფართოდ გაშლილი მშენებლობა ამის აშკარა დასტურებაა.

ამ წერილს უკანასკნელი წლების ჩვენი ხუროთმოძღვრების მიმართულების პრეტენზია არა აქვს. ჩვენ ვკნინდა ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვათ დღევანდელი დღის ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ, გამოვეცმაროთ იმ ზოგიერთ საკითხს, ქართული არქიტექტურული პრაქტიკის წინაშე რომ დგას.

არქიტექტორთა მთავარი საზრუნავი, ბუნებრივია, საცხოვრებელი რაიონების დაგეგმარება-განაშენიანებაა. ბოლო წლებში მრავალი საცხოვრებელი სახლი აშენდა, მაგრამ მათში მცხოვრებთათვის ყოველთვის რადა ნორმალური პირობები შექმნილი. საცხოვრებელ მასივთა მშენებლობისას მკვეთრად ირინა თავი არქიტექტორთა და მშენებელთა უყურადღებობამ ხუროთმოძღვართა სპეციმძღვანელო ტრიადის — ვაშენოთ ეკონომიურად, მოხერხებულად და ლამაზად —ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტისადმი. ვგულისხმობთ ლამაზად შენებას.

მოგეხსენებათ, არქიტექტორთა შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს სწორედ ლამაზად შენება წარმოადგენს. არქიტექტურის ისტორიის მანძილზე იცვლებოდა შეხედულება სილამაზეზე, მაგრამ არქიტექტურაში ესთეტიკური მხარის დიდი მნიშვნელობის პრინციპი უცვლელი რჩებოდა.

ცნობილია, რომ დღეს ფართოდ გაშლილი ინდუსტრიული მშენებლობა ტიპური პროექტებით ხორციელდება. მაგრამ ტიპურ პროექტებში ასარჩევი ვარიანტების უქონლობამ ჩვენი საცხოვრებელი რაიონები მოსაწყენ ერთფეროვნებამდე მიიყვანა. ქუჩის მიმართ შენობათა სხვადასხვაგვარად დაყენება (ესეც არ არის ჩვენთან ხშირი!) შეზღუდულია, რადგან ბინებს სხვადასხვა პირობებში აყენებს ქვეყნის, მხარეთა მიმართ ორიენტაციის მხრივ. არა მარტო შენობები, კვარტალები, ქუჩები დაემსგავსნენ ერთმანეთს, არამედ სხვადასხვა ქალაქების მთელი რაიონებიც კი, მიუხედავად მათი გეოგრაფიული მდებარეობისა.

კარგა ხანია მომწიფდა საკითხი იმის შესახებ, რომ გადავხედოთ ტიპურ პროექტთა სიაკვარგეს, მათ დაგეგმარებას, მოხერხებულობას, სადგომთა სიმაღლეს, რომ ბინები უფრო მეტად შეეფერებოდეს მცხოვრებთა ფსიქიკას, უქმნიდეს მათ დასვენებისა და შეშვიბის ყოველგვარ პირობებს, ანალისებდეს მათ.

მიუხედავად იმისა, რომ სადგომთა სიმაღლე არცთუ ისე საგანგაშოა, როგორც მითქმა-მოთქმაა ხალხში (ბინის ხარისხი მარტო სიმაღლით როდი განისაზღვრება!), მაინც, სპეციალისტთა აღიარებით, ჩვენს პირობებში არსებული ნორმა მცირეა თვით ეკონომიური მხრივაც კი, თუ გავითვალისწინებთ სახლის მთლიან ექსპლოატაციას წლების მანძილზე. ეს მეცნიერთა გამოთვლის შედეგზეა დამყარებული. მაშ რატომ არ იცვლება არსებული ნორმა?

ახალი, მრავალფეროვანი ტიპური პროექტების შექმნა, რომლებიც სართულიანობისა და ბინების სხვადასხვაობით მათი სხვადასხვაგვარად განლაგების შესაძლებლობას მოგვცემს, ჩვენი არქიტექტურის გადაუდებელი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა.

უკანასკნელი წლების სამშენებლო პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზია მშენებლობის ხარისხი. ხშირად მობინადრე შესულიც არ არის ახალ ბინაში, რომ უკვე იწყება მისი წყსრიგში მოყვანა, ან „რემონტი", როგორც ამას ხალხში იტყვიან ხოლმე. რატომ უნდა სჭირდებოდეს ახალ ბინას ეს „რემონტი", დაწყებული იატაკიდან და დამთავრებული სანიტარული კვანძის მოწყობილობით?! ეს მხოლოდ და მხოლოდ საქმისადმი ზოგიერთი მშენებლის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ნაყოფია.

ახალი საცხოვრებელი კვარტალების მდგომარეობა ამ მხრივ ცნობილია. მაგალითს სასკოლო მშენებლობის პრაქტიკიდან მოვიყვან. ცნობილია, რომ სკოლის არქიტექტურა მარტო რაიმე კონკრეტული ნაგებობის ხუროთმოძღვრული პრინციპებით გადაწყვეტა კი არ არის, არამედ ზრუნვაა ბავშვის გემოვნების სწორად წარმართვისათვის, ადრეულ ასაკშივე მისი მხატვრულ-უსუტეტიკური აზროვნების მიზანდასახული განვითარებისათვის.

ახალ საშენ მასალათა და კონსტრუქციათა გამოყენება შესაძლებლობას იძლევა სასკოლო შენობებში საგრძნობლად გაუმჯობესდეს ჰიგიენური პირობები.

სასკოლო შენობათა დაგეგმარების ახალი არქიტექტურული პრინციპები თბილისსაც შეეხო. აშენდა რამდენიმე ახალი სკოლა ტიპური პროექტებით, სხვადასხვა სისტემისა, რომლებიც ბასკობრივი დიფერენციაციის, სხვადასხვა კაბინეტების და სახელოსნოების, სპორტული ბლოკის ცალკე გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ თითქმის არცერთ სკოლაში არ არის ნორმით საჭირო ნაკვეთი. ზოგან კლასების ორიენტაცია სამ მხარეზეა, რაც ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა პირობებში აყენებს საკლასო ოთახებს, და სხვ.

საბუთთალოზე აშენდა 126-ე სკოლის შენობა. აქ საკლასო ოთახები სწორად არის ორიენტირებული (სამხრეთისაკენ). ამ მხარეს გადაჭიმულია მინის ფართო სარკმელები კიდლის მთელ ფართობზე. მაგრამ აქ არ გაუკეთებიათ მზის დამცველი ჟალუზები და ცხელ თვეებში კლასში ყოფნა შეუძლებელია. მშენებლობის ხარისხი ყოვლად უვარგისია. აბა რა უნდა დაინახონ, რა ამაღლებული განწყობა და სიხალისე უნდა მიიღონ ბავშვებმა ჩამონგრეული შენალვებში განვითარდა, რუსთაველის პროსპექტზე ერთიანი, მისთვის შესაფერი მასშტაბურობა გაუჩნდა. აქციანტები რუსთაველის პროსპექტზე ამ მასშტაბებიდან გამომდინარე, მხოლოდ არა აბსოლუტური ზომების შეცვლით, არამედ სხვა ხუროთმოძღვრული ხერხებით არის მიღწეული (მაგალითად, მთავრობის სახლის წითელი ხაზიდან შეწევა, ფორმათა მონუმენტური გადაწყვეტა, პროპილეები და სხვ.). რუსთაველის მოედანზე, რომელიც პროსპექტის ორგანული მონაკვეთია, „საქნახშირის" ადმინისტრაციული სახლის კოშკი ვერტიკალით სვამს აქცენტს, მაგრამ ვერტიკალითა, რომელიც აგრეთვე შეფარდებულია პროსპექტის საერთო მასშტაბთან და ქალაქის განაშენიანებასთან. შორი წერტილებიდან ეს ორიენტირი არ აწუხებს თვალს. ახლა გვთავაზობენ ერთნახევარჯერ უფრო დიდი სიმაღლის მინის ვერტიკალურ მოცულობებს, რომელიც არა მარტო თვით ფიგურეს, არამედ ქალაქის სხვადასხვა წერტილებიდან „მოსპობს" ყველაფერს. გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ მამადავითის მთა აქ დაბლა ეშვება. ეს ყველაზე მეტად იგრძნობა მარქვის ხიდის მიდამოებიდან, საიდანაც ხედვის მეტად მომგებიანი წერტილი აქვს ამ ადგილს, მაღალი შენობა მხოლოდ ცის ფონზე გამოჩნდება და ამდენად კიდევ უფრო მეტად საგრძნობი იქნება მისი აბსოლუტური ზომები. თანაც, სასტუმრო „ინტურისტის" 16-სართულიანი შენობა, ახლა მის შორახლოო რომ შენდება, სრულიად საკმარისი იქნება ამ რაიონში აქცენტისათვის.

თბილისში ბევრი ადგილია კომპაქტური შენობებისათვის, მაგრამ არა აქ, მთის ძირში.

რუსთაველის პროსპექტის საერთო მასშტაბიდან შეფარდებით პროექტზე დიდი ხომ არ არის მოედანი ამ სახლის წინ? ხომ არ დაუკარგავს იგი მხატვრული მთლიანობას ამ უბანს? ჩვენი აზრით, საკონკურსო პროექტების ნაკლი სწორედ ის არის, რომ ისინი ვამდიან თანამედროვე მიღწევებიდან ქალაქმშენებლობისა თუ მოცულობითი არქიტექტურის დარგში, მაგრამ ნაკლებად ითვალისწინებენ ჩვენი დედაქალაქის ინდივიდუალურ სახეს, თბილისურ რელიეფსა და უკვე ჩამოყალიბებულ ეერიან სახეს ატარებს. ქალაქის ცენტრს — და ესეც მისი თავისებურებაა — რაიმე ერთი მოედანი კი არ შეადგენს, არამედ კლაკნილად გადებული მაგისტრალი. არსებულ ნაგებობათა არქიტექტურული სიჭრელის მიუხედავად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის რეკონსტრუქციისას მოძებნილი სწორი ნასმაბის გამო, რომელიც შემდეგ აგებულ სხვა შენობებზეა ასახული, ეს ადგილი ერთ-ერთ ლამაზ ადგილად ქცეულა. ეს ადგილი ეკუთვნის ეროვნულ ფორმას. ნაგებობა მტკიცედ უნდა იდგეს იმ ნიადაგზე, სადაც შენდება, უპასუხებდეს აქაური ყოფის, გარემომცველი ბუნებისა თუ პირობებისაგან გამომდინარე მოთხოვნილებებს, აკმაყოფილებდეს ხალხის თანამედროვე ესთეტიკურ შეხედულებებს.

ამ მშენებლობათა გარშემო მრავალი აზრი ისმის. საჭიროა კარგად აიწონოს ყოველივე. მაგრამ არქიტექტორებს სჭირდებათ მეტი ნდობა, უნდობლობა კი ხშირად მცირედშიც მოჩანს. ამა რამდენ ადგილას მოისმენთ რუსთაველის თეატრის კარების რეკონსტრუქციის შესახებ, რა საჭირო იყოო, მაგრამ რა მოხდა, რომ რუსთაველის თეატრმა გახსნა თავისი კარები (მართალია, კარების ნახატი ეეთუა პროპორციებს მოითხოვდა, ვიდრე გაკეთდა!) და პროსპექტზე გამოაჩინა თავისი ინტერიერი?! ამით პროსპექტის ამ მონაკვეთზე „გაჩნდა განათებული, ცოცხალი უბანი. თეატრმაც რეკლამის თავისებური საშუალება გამონახა. შენობის ქვედა სართული ხომ უფრო ქუჩას ეკუთვნის, ვიდრე თვით შენობას. მით უმეტეს ქალაქის მწვანეში ჩაფლულ ცენტრალურ მაღაზიებზე, სადაც შენობა მთელი სიმაღლით ბრა კი აღიქმება, და ამიტომ სტილისტური შეუსაბამობაც შეუმჩნეველია.

საერთოდ, გახსნილმა, გემოვნებით მორთულმა ვიტრინებმა უნდა შექმნას ქვედა, მეტად მნიშვნელოვანი რეგისტრი, რომელიც ქუჩის მხატვრულ სახეში დიდ როლს ითამაშებს. თბილისში ამ მხრივ გარკვეული მუშაობა წარმოებს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ რესტორან „თბილისის" ქვეშ მცირე კაფე გაკეთდა. არქიტექტორებმა დიდი გემოვნებით მოკაზმეს იგი. მაგრამ სულ მალე სპეციალურად გაკეთებული დაბალი მაგიდები და სკამები, რომლებიც კარგად უპასუხებენ ინტერიერის საერთო გადაწყვეტას, აიღეს და მათ ნაცვლად სტანდარტული დგარები დადეს. შესაძლოა ამით შემოსავალმა იმატა, მაგრამ არა გვგონია იმდენად, რომ საჭირო ყოფილიყო ასეთი „მხატვრული" მსხვერპლის გაწევა. ასევე ერთი ხელის მოსმით მოხსნეს მოხატვლობა რესტორანში თბილისის ზღვაზე და სასტუმრო „კოლხიდაში", მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტები მათზე საკმაოდ მაღალი აზრისა იყვნენ. რა თქმა უნდა, დამკვეთის აზრი ანგარიშგასაწევია, მაგრამ შემსრულებლებისადმიც მეტი ნდობაა საჭირო.

დღევანდელი დღის არქიტექტურაში უმთავრესია სარგებლიანობა და მოხერხებულობა, მაგრამ ეს რაციონალური საწყისები ესთეტიკურად უნდა იყოს გაანრებული, სადად, მაგრამ მომხიბვლელად. არქიტექტურაში უტილიტარული მხარე, მისი ფუნქციურობა მხატვრულად, ესთეტიკურად არის წარმოდგენილი. სილამაზე სარგებლიანობისაგან განუყოფელია. იგი ბევრად არის დამოკიდებული მშენებლობის ხარისხზე, საერთო კონსტრუქციებით დაწყებული და ცალკეული დეტალებით დამთავრებული. ამიტომ არქიტექტორთა და მშენებელთა მტკიცე თანამშრომლობას დღეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ეჭვი არ არის, ქართველ არქიტექტორთა და მშენებელთა ნიჭიერი კოლექტივი, რომელიც ადმავლობის გზაზეა, დაძლევს ყველა სიძნელეს და მომავლის წინაშე ღირსეულად წარსდგება.

ნ. ჯანბერიძე.
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, არქიტექტორი.

რედაქციისაგან: ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, ფართოდ არის გაშლილი მშენებლობა. იქმნება ახალი საცხოვრებელი კვარტალები და საზოგადოებრივი ცენტრები. სულ უფრო მეტი საბჭოთა მოქალაქე იუმჯობესებს საცხოვრებელ პირობებს. არქიტექტორებისა და მშენებლების წინაშე დგას ამოცანა — ყველა პირობა შეუქმნან კომუნიზმის მშენებელ ადამიანს ხალისიანი შრომისა და დასვენებისათვის. ბუნებრივია, ჩვენი სამშენებლო პრაქტიკა მთელ რიგ საკითხებს აყენებს არქიტექტურული და სამშენებლო ფრონტის მუშაკების წინაშე.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის, არქიტექტორ ნ. ჯანბერიძის სტატიაში წამოყენებულია ბევრი საჭირბოროტო, საყურადღებო საკითხი თუ მოსაზრება. თუმცა შესაძლოა, ზოგიერთი დებულება სადავოც იყოს. ამიტომ რედაქცია იწვევს მკითხველებს — აზრი გამოთქვან ამ საკითხების გამო, რაც დახმარებას გაუწევს არქიტექტორებსა და მშენებლებს თავიანთ ყოველდღიურ კეთილშობილურ საქმიანობაში.

ვიტრინებს ხმის ამოღება რომ შეეძლოთ!..

გაზეთი უყვარს მკითხველს. იგი მას ახალი ამბების კურსში აყენებს. ამიტომ არის, ცისმარე დილით კიოსკების წინ მოქალაქეთა გრძელი რიგები რომ დგება. ნამდვილად კარგი ამბავია კიოსკების სიმრავლე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ქალაქში **საგაზეთო ვიტრინების** მოწყობას.

ქუჩაზე მიდის მოქალაქე, ჩერდება გაზეთის ვიტრინასთან, წაიკითხავს მისთვის სასურველ წერილს და განაგრძობს გზას. ასეა ყველგან. ასეა ჩვენს დედაქალაქშიც. გაზეთის ვიტრინები მეტწილად თვალსაჩინო ადგილებზეა მოწყობილი. მაგრამ ერთი რამ მაინც თვალში გეცემათ: რაც უფრო ეშორდებით ქალაქის ცენტრს, მით უფრო მცირდება გაზეთების ვიტრინები და ამასთან ერთად იგრძობა ამ საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებაც.

ქალაქის მთელ რიგ ადგილებში საგაზეთო ვიტრინები კარგად არის მოწყობილი, გაზეთის ნომრები ყოველდღიურად იცვლება, და ვიტრინა მკითხველს იზიდავს. პლეხანოვის პროსპექტზე, ფოსტა-ტელეგრაფის შენობის წინ ყოველთვის არის გაკრული „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას", „ახალგაზრდა კომუნისტის" ახალი ნომრები. ამ საქმეს თვით ფოსტის მუშაკები ხელმძღვანელობენ. გაზეთების ახალ ნომრებს სისტემატურად ნახულობს მკითხველი ოქტომბრის ქუჩაზე — საკოლეგიუმო ბაზართან, ლენინის მოედანზე — რკინიგზის საქალაქო საგზურთან, ვაკის კულტურისა და დასვენების პარკში და სხვა ადგილებზე.

პლეხანოვის პროსპექტზე მოკავშირე რესპუბლიკების გაზეთების ვიტრინას ბევრი მკითხველი ეტანება. აქ ეცნობიან მოკავშირე რესპუბლიკების ყველი გაზეთის ახალ ნომრებს.

ასევე კეთილმოწყობილია 26 კომისრის საბჭოს ბაღში გაზეთების „პრავდის", „იზვესტიას", „კომუნისტის" და „ზარია ვოსტოკას" ვიტრინები. იქ ფაქიზად არის მოთავსებული ყველა გაზეთის ახალი ნომრები. ეს საქმე „ალნინის რაიონის გამწვანების კანტორის აგრონომს გ. კეზელს ეპარება. იგი სიყვარულით ასრულებს თავის მოვალეობას, შეუფერებლად მიაქცს მკითხველამდე თვითეული გაზეთის ახალი ნომერი. ცხრა ადგილის ქუჩაზე მთავარპოლიგრაფმრეწვის სასწავლო-თვალსაჩინო ნივთების ფაბრიკასთან გაზეთების ვიტრინები ახლად შეიღებავთ. უხერხულიათ და მიმზიდველი გაუხდიათ. ამ საქმეზე გამოუყვანიათ ფაბრიკის თანამშრომელი გ. გოდერძიშვილი, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას სიყვარულით, პასუხისმგებლობით ასრულებს.

მაგრამ ყველგან ასე როდია. ოქტომბრის ქუჩაზე (ლენინის რაიონი) პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლის ბაღის შესასვლელში გაზეთების „პრავდისა" და „კომუნისტის" ვიტრინაა. ვიტრინაო ვთქვეთ, თორემ ფაქტიურად მხოლოდ უმნო ჩარჩოებია უყაროდ და უგაზეთოდ. ერთ დღეს იქვე მახლობლად პენსიონერები დ. ჩალაშვილი და დ. ბუხალიაშვილი ისხდნენ და საუბრობდნენ. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. ვიტრინაში გაზეთი რომ იყოს, კაცი წაიკითხავდა, რახანია ახალი გაზეთები არ გამოუკრავთო.

პეკინის ქუჩაზე კინოთეატრ „თანამგზავრის" მახლობლად საგაზეთო ვიტრინაში „კომუნისტის" 6 მაისის ნომერია გამოკრული. ახალი გაზეთის ნაცვლად ჩარჩოს შემორჩენია დროგასული, გაყვითლებული ფურცელი.

გაზეთის ვიტრინა შაუმიანის ქუჩაზე პოლიტიკის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიონის შენობის მახლობლად არის მოთავსებული. იქ წინათ აკრავდნენ ახალ ნომრებს. ამჟამად მხოლოდ ცარიელი, მინაჩატვრეული ჩარჩო გამოიყურება. რაიონის მუშაკები ვიტრინის ნაცვლად ყოველდღიურად უცქერიან ცარიელ ჩარჩოებს, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად რატომღაც ზომებს არ იღებენ.

ოხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის გაზეთების, ვიტრინაა მოწყობილი ეახტანგ გორგასლის ქუჩაზე (კიროვის რაიონი), მეტროს ცოცის მახლობლად. იგი დიდი ხანი არ არის, რაც გაკეთეს, შესრულებულია გემოვნებით. ადგილმდებარეობაც კარგად არის შერჩეული. მაგრამ იგი ეუურადღებოდ არის მიტოვებული. წარწერით არ ეგმნევა, რომ აქ მოძმე რესპუბლიკების გაზეთებია გამოკრული. საღამოობით გაზეთს მკითხველი ვერ წაიკითხავს. რა თქმა უნდა, კარგია, ელექტროგანათებაზე რომ ფიქრობენ, მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ განათებას? ნახევარზე მეტი ნათურა გადამწვარია, ვიტრინა ნახევრად ჩაბნელებულია. მინებიც ჩაუტეხავთ. ქარსა და წვიმაში რა ბედი ეწევა გაზეთს?

სამართლიანი უკმაყოფილება გამოთქვა თბილისელმა ა. სალიმოვმა, რომელიც ტაშკენტის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დაუსწრებელი გასოფლელების სტუდენტია: მე ძალზე მაინტერესებს შუა აზიის გაზეთები, მაგრამ აქ ახალ ნომრებს ყოველთვის ვერ ვეცობი, მოვდივარ და ძველ გაზეთებს მხვდებიან.

თავისი გულისტკივილი გამოხატა ამ რაიონის მცხოვრებმა რ. ხალილოვმაც: — ამას წინათ ესტონელი სტუმრები ათვალიერებდნენ გაზეთის ვიტრინას, და სირცხვილით დავიწვი, ვიტრინაში დაკრეჭნული „სოვეტსკაია ესტონია" იყო გაკრული. ხშირად ხდება ასეც. ალოავენ გაზეთის ორ გვერდს, ორი გვერდი კი გაუტოვიათ ჩრებათ. ამგვარად გაზეთ „კომუნისტ ტაჯიკისტანს" 11 ივლისის ნომერია მოთავსებული, ხოლო „სოვეტსკაია ბელორუსიას", „კაზახსტანსკაია პრავდას", „სოვეტსკაია ლიტვას", „ტურკმენსკაია ისკრას" მხოლოდ 13 ივლისის ნომრებით შეიძლება „ვისარგებლოთ". ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა, რომელსაც ეკისრება ზემოაღნიშნული ვიტრინის მეთვალყურეობა, საქმისადმი მეტი ინტერესი უნდა გამოიჩინოს.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლის პარკის შესასვლელში ახალგაზრდებს მოეყარათ თავი. ერთი მათგანი იქვე გაზეთის ვიტრინას მიუახლოვდა. უნდოდა ახალი გაზეთი წაეკითხა, მაგრამ იმედგაცრუებული დაბრუნდა უკან. ჩარჩოდან მხოლოდ გაზეთ „კომუნისტის" 23 ივნისის ნომრის შიდა გვერდების გაყვითლებული ფურცლები მოჩანდა: ახალგაზრდები გოოცებული შესცქეროდნენ ვიტრინას...

კარლ მარქსის მოედანზე თვალსაჩინო ადგილას მოეწყვეთ გაზეთების „კომუნისტი", „ზარია ვოსტოკას" და „სოვეტსკი სპორტის" ვიტრინები. სპორტს მოყვარულნი „სოვეტსკი სპორტის" ყოველ ნომერს დროულად ეცნობიან. მაგრამ იქვე „კომუნისტისა" და „ზარია ვოსტოკას" ნომრებს სისტემატურად არ აკრავენ. ეს საქმე მოდგების სახლის თანამშრომელს, ნ. ბუმკენაძეს აქვს დაკისრებული. იგი ფოსტალიონს ამბობს, გაზეთებს აგვიანებს ან სულაც არ მოაქვსო.

ჯაფარიძის სახელობის ბაღში გაზეთების ვიტრინები ცარიელი და უყურადღებოდ მიტოვებულია. ვიღაცას წარწერაც კი მოუმტვრევია. ამ სახოგადოებრივ თავშესაყარ ადგილზე მიმსვლელნი „ფელიეტონისტმა" გამოიტანა დასკვნა, ვინც ამ საქმეში უპასუხისმგებლობას იჩენს.

ლენინის ქუჩაზე კიროვის სახელობის ბაღის შესასვლელთან მკითხველი ვიტრინაში ყოველდღე ეცნობა გაზეთების ახალ ნომრებს. ორჯონიკიძის რაიონის გამწვანების კანტორის აგრონომმა თამარ გელეიშვილმა სატბარში განაცხადა, ყოველდღიურად ვცვლიო გაზეთის ძველ ნომრებს, ასე რომ არ მოვიქცეთ, ბაღში მსხდომნი დამსვენებლები, პიტნოლონერები თვითონ მოგვაკითხავენო. მაგრამ ვიტრინა უღიმღამოდ გამოიყურება. მინები ჩამტვრეულია. მათი ჩასმა დიდ პრობლემად გაუხდიათ.

გაზეთი სახოგადოებრივი ტრიბუნაა. მას ბევრი მკითხველი ჰყავს. საგაზეთო ვიტრინები კი მკითხველების მიბიდვის საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ საგაზეთო ვიტრინების მოწყობას, მასობრივი აგიტაციის ამ შესანიშნავ საშუალებას, უყურადღების ცენტრში უნდა აყენებდნენ



პარტიის რაიკომები, მათი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები.

რედაქციის მონაწილეები:

...თ. საყვარელიძე — ეკონ. ვ. სუხიშვილი — ზეინკალი, ე. ჯაფარიძე, გ. ტაბიშვილი, ლ. ძმაკაიძე — „კომუნისტის" რედაქციის თანამშრომლები.

* * *

რაზე მეტყველებენ ეს ვიტრინები? სურათებზე: (ზემოთ) ეს გამოიყურება საგაზეთო ვიტრინა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლის პარკის შესასვლელთან. (ქვემოთ) ეს ვიტრინა კი სამბოს ქუჩაზე, ჯაფარიძის სახელობის ბაღში დგას.

ფოტო ს. კილაძისა.

ტურისტული გილიკები გელიან, მეგობრებო!

მკითხველები ეხმაურებიან რჩევას

„ვეწვიოთ ბუნებას, ჩვენს მშობლიურ მთა-ბარს!".

ასეთი საერთო სათაურით ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოვაქვეყნეთ მასალები საზაფხულო ტურისტულ დასვენებაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ თემაზე საუბარმა ცხოველი ინტერესი დაბადა მკითხველებში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. რედაქციამ ბევრი წერილი მიიღო მკითხველებისაგან.

ავტორთა უმრავლესობა კმაყოფილებით გვწერს მათ მიერ უახლოეს ხანებში განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებაზე, მიღებულ შთაბეჭდილებებსა და ამ შთაბეჭდილებათა კეთილსასურველ გავლენაზე.

თავიანთ შთაბეჭდილებებსა და მოსაზრებებს გვიზიარებენ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მშრომელები ზ. ახვლედიანი, კ. ამდუშელიშვილი, თ. ამუსაძე, ვ. მუკია, ნ. ბაბარიკი, მ. გაფრინდაშვილი, ჯ. დარასელია, ვ. დიდებაშვილი, ქ. თოლორაია, რ. თორდუა, მ. თანიაშვილი, ს. ინაშვილი, დ. კაბულაშვილი, დ. კილაძე, პ. ლაგვილავა, ნ. ლობურინჯო, თ. ლოგუა, ნ. მამისაშვილი, ს. მაისურაძე, ე. მაჩიტაძე, ტ. მირიმაძე, ბ. მეგრელიძე, ვ. მეცხოვრიშვილი, ს. მელაძე, ლ. ნადიბაიძე, ე. ნარიმანიძე, ნ. ნავლაშვილი, ე. ნაგლიაშვილი, ვ. ნემსაძე, თ. ნოზაძე, მ. ოლშანია, ვ. ობრაზცოვი, ო. პაპუკაშვილი, ზ. პერტახია, რ. სვანიძე, ზ. სიდამონიძე, ბ. ტაბაღუა, ვ. ტატიშვილი, მ. ფავლენიშვილი, რ. ფოლადაშვილი, ვ. ქავთარაძე, ს. ქისტაური, მ. ღუღუნიშვილი, შ. შარია, ა. ხუციშვილი და სხვები.

ქვემოთ ვბეჭდავთ რამდენიმე ავტორის წერილს სარედაქციო ფოსტიდან.

მეტი ყურადღება დასვენებას

მესხეთი მდიდარია თავისი ისტორიული ძეგლებითა და თვალწარმტაცი ადგილებით. ვინ მოთვლის, ერთ ამ ორდღიანი ტურისტული ლაშქრობისათვის რამდენნაირი მარშრუტის შემუშავება შეძლება ახალციხის რაიონში. აქ არის ვარძია, თმოგვი, ვანის ქვაბები, ზარზმა, საფარა, ოქროს ციხე და სხვ., ურავლის, ადიგენის, აბასთუმნის, წინწყნის, თისელის შესანიშნავი ტყეები.

ერთი სიტყვით, ტურისტული მოძრაობის გაშლის საუკეთესო ბიროებია, მაგრამ ამისადმი აქ ნაკლებად იჩენენ ინტერესს.

მოოს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ ახალციხის ელექტროფიკაციის ქარხანა. აქაური მუშები უკვე კარგა ხანია არ ყოფილან ქალაქგარეთ საბოგზაურად. ქარხნის პროფკომში მორიგ ორგანიზაციას კი ერთხელაც არ უფიქრია მოეწყო მუშების ქალაქგარეთ დასვენება.

ჯ. ქიმერიძე.

საჭიროა ტურისტული სეზონი

გაზეთში სიამოვნებით წავიკითხე მასალები საზაფხულო დასვენებაზე — „ვეწვიოთ ბუნებას, ჩვენს მშობლიურ მთა-ბარს!" და მაშინ კიდევ ეოოხელ მწვავედ ვიგრძენი, თუ რა აუცილებელია ფიზიკური მოძრაობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. გული დამწყდა, რომ ამ მხრივ ჩვენთან თითქმის არაფერი კეთდება.

კომბინატის ტერიტორიის გარშემო მთელ რიგი თვალწარმტაცი ადგილებია. განა რით არის ცუდი მოეწყოს ტურისტული ლაშქრობა ეგეურის ხეობაში, ურთის ტყეთ დაფარულ მთაზე და სხვაგან. დასასვენებელი და სამოგზაურო ადგილები საკმაოდ ბევრია, მაგრამ იქ ეშვიათად ნახავთ ვინმეს დასასვენებლად მისულს. კომბინატში, სადაც ორი ათასამდე მუშაა, არ არის ტურისტული სექცია.

მისი არსებობა და მუშაობის გაშლა კი უდავოდ სასარგებლო იქნებოდა მუშათა მთელი კოლექტივისათვის.

ბ. ბაკაძეა,
ენგურჰესალმდგომბინატის მუშა.

ამ ფოტოსურათის მკითხველები გვთავაზობენ

სოხუმის ბოტანიკურ ბაღში.
ფოტო ლ. გოგებაშვილისა და ხ. მაღრაძისა.

ტურიზმი ჩვენი მეგობარია

ჭიათურაში მასობრივი ტურიზმის დანერგვისა და განვითარებისათვის შეიქმნა საქალაქო ტურისტული კლუბი.

მისი წევრები უწევენ მოსახლეობას კონსულტაციას, უდგენენ სამოგზაურო მარშრუტებს ჯანსაღი და შინაარსიანი დასვენებისათვის. ტურისტული ლაშქრობის დროს, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ვისახავთ მშობლიური მხარის შესწავლას. ამ მიზნით საქალაქო ტურისტული კლუბის ჩამოყალიბების შემდეგ 30-ზე მეტი ერთდღიანი და მრავალდღიანი ლაშქრობა მოეწყო კაცხის სვეტზე, სვერის ციხეზე, ზოდის, ცხომარეთის და სხვა ისტორიულ ადგილებში.

ჩვენი ქალაქის მკვიდრის, ტურიზმისა და ალპინიზმის ენთუზიასტის გ. სამხარაძის ხელმძღვანელობით ჭიათურელმა ახალგაზრდებმა პირველებმა ჩამოიტანეს კაცხის სვეტიდან ალიომა ჯაფარიძის მიერ 1945 წელს დატოვებული წერილი და იქ წითელი ალამი აფრიალეს. მრავალდღიანი ტურისტული ლაშქრობა მოეწყო რაჭა-ლეჩხუმში, კახეთში, სამხრეთ ოსეთში.

მაღარიელთა ქალაქის მშრომელთა გარკვეული ნაწილი დიდ ინტერესს იჩენს კვირადღეთ ტურისტული ლაშქრობებისადმი.

ისინი ხშირად გადიან ყვირილის ხეობის ისტორიული ძეგლებს: მღვიმეების დედათა მონასტრის, ჯრუჭის მონასტრის და სხვ. გასაცნობად. ახლახან ჭიათურის საქალაქო ტურისტული კლუბის ხელმძღვანელობით ქალაქის მშენებელი ახალგაზრდობისათვის მოეწყო 10-დღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ჭიათურა-ხრეითი-საწალიკის მთა-ნიკორწმინდა-ამბროლაური-სორი-ონი-კვალსა-ზუბის მთა, ერწოს ტბა-ჯალბეთი-საჩხერე-ჭიათურა.

ლაშქრობის მონაწილენი დიდად კმაყოფილი დაბრუნდნენ შინ.

მდიდარი ისტორიული წარსულის მქონეა ჩვენი ქალაქი, მისი შემოგარენი, მაგრამ მის ნახვას სტუმრები იშვიათად თუ ახერხებენ, ვინაიდან ჭიათურაზე გავლით არც ერთი მარშრუტი არ არის შემუშავებული. გვიქრობთ უინტერესო არ იქნებოდა, რომ იყოს ასეთი მარშრუტი: ქუთაისი-შაორის წყალსაცავი-ნიკორწმინდა-საწალიკის მთა-ჭიათურა-საჩხერე - კორბოული-გ



მოძმე აზერბაიჯანში

მისამართი: კუბა

მტკიცდება და ვითარდება აზერბაიჯანისა და კუბის რესპუბლიკის ეკონომიური ურთიერთობა. თავისუფლების კუნძულზე უწყვეტ ნაკადად იგზავნება სინთეზური კაუჩუკი, დუსტი — ჰექსაქლორანის იოდი, საბურღი მოწყობილობა, მედიკამენტები. მარტო ამ ბოლო დღეებში კუბელ მეგობრებს თავიანთი პროდუქცია გაუგზავნეს ლეონტენტ შმიდტის სახელობის, ქიროვის სახელობის, სარდაროვის სახელობის მანქანათსაშენებელმა ქარხნებმა, ბაქოს ელექტრომანქანათსაშენებელმა ქარხანამ.

კუბელი სპეციალისტები ჩვენი რესპუბლიკის ხშირი სტუმრები არიან. ბოლო დროს ჩვენთან ჩამოვიდნენ იმისათვის, რომ გასცნობოდნენ აზერბაიჯანის სამთოგამამდიდრებელი კომბინატისა და ბაქოს მანქანათსაშენებელი საწარმოების მუშაობას.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დასავლეთის ზონის რაიონებში მოძმე საქართველოდან ჩამოვიდა ავიატორთა ჯგუფი. ქართველმა ავიატორებმა დაიწყეს ბამბის ნათესების დამუშავება შხამქიმიკატებით.

ქართველ ავიატორთა წვლილი

დილიდან გვიან საღამომდე დაფრინავენ თვითმფრინავები ყაზახის, ტაუზისა და შამქორის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდერების თავზე. ყოველდღიურად ამუშავებენ ათასამდე ჰექტარს, მნიშვნელოვნად მეტს, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. შაუმიანის სახელობის, „კომინტერნის", „კომკავშირის" კოლმეურნეობებსა და ყაზახის რაიონის სხვა მეურნეობებში უკვე ორ-ორჯერ მოეწყო დამუშავება. სულ თვითეულ მასივზე მოეწყობა შვიდი შეფრქვევა და შესხურება.

ჩინებულად მუშაობენ აგრეთვე „ჰაერის მექანიზატორები", რომლებიც ამუშავებენ სანლარის, კასუმ-ისმაილოვისა და ეკლახის რაიონების ბამბის პლანტაციებს.

ქიმიკოსთა სიტყვა და საქმე

სუმგაითის ქიმიური ქარხნის კოლექტივი თავისი სახელოვანი ტრადიციების ერთგულია. ამ დღეებში საწარმოს მოწინავე მეხუთე საამქროს მუშებმა და სპეციალისტებმა სამშობლოს უპატაკეს დეპარსატორის წარმოების ცხრა თვის გეგმის ვადამდე შესრულება.

შეჯიბრებაში პირველობას აკლავ ანა ელისეევასა და ლიდია პოლსკაიას კომუნისტური შრომის ცვლები ინარჩუნებენ. ისინი ყოველდღიურ ნორმას 20-25 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებენ.



აზერბაიჯანის სსრ. ამწე-კატამარანის მშენებლობაზე ცხარე დღეებია. მემონტაჟეები შეუდგნენ სამუშაოთა ყველაზე პასუხსაგებ ეტაპს — 150-ტონიანი ისრის აწევას 20-სართულიანი სახლის სიმაღლეზე და მისი სექციების შეპირაპირებას. **სურათზე:** სამხრეთი უბე, სადაც შენდება გიგანტური ამწე გემი.

ფოტო ნ. იგნატიევისა. (საკდესის ფოტოკორესპ.).

ისტორიის მუზეუმის ექსპედიცია

წარაქვი, რკინის რგოლიანი ტყავის ვედრო და ხის ოჭინარი. ეი მთელი მარტივი მოწყობილობა, რითიც მუშაობდა კიანეანი — აზერბაიჯანელი სახალხო ხელმარჯვე ოსტატი, მიწისქვეშა სარწყავი სისტემის — კიაგრიზის მშენებლობის ოსტატი. ამ მარტივი ინსტრუმენტით შეიარაღებულს, სანათის მკრთალ შუქზე მას გაეყვედა მიწისქვეშა გალერეები, რომელთა სიგრძე ზოგჯერ ათობით კილომეტრია—მთისწინეთიდან გადატრუსულ ველებისაკენ. ეს პრიმიტიული ტექნიკა საუკუნეებს შემორჩა და ჩვენამდე თითქმის უცვლელად მოაღწია. აზერბაიჯანის ისტორიის მუზეუმის მუშაკებმა, ექსპედიციის მონაწილეებმა, რომლებიც რესპუბლიკის დასავლეთ რაიონებში მუშაობდნენ, შეკრიბეს და ჩამოიტანეს კიაგრიზის გასაყვანი ინსტრუმენტების მთელი კომპლექტი.

კომპლექსურმა ექსპედიციამ მუზეუმის ექსპოზიციისა და კოლექციებისათვის შეაგროვა აგრეთვე აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი ტექნიკის სხვა მასალები.

ექსპედიციის მონაწილენი მარტო მასალების შეგროვებით როდი დაკმაყოფილდნენ. მეცნიერულ-პროპაგანდისტულ მუშაობასაც ეწეოდნენ მოსახლეობაში. თან წაიღეს სამი მოძრავი გამოფენა, რომლებიც მოწყობილი იყო კიროვაბადის, ხანლარის, შამქორის, ტაუზისა და შემახის რაიონების საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ჩეხოსლოვაკიური პოეზიის ანთოლოგია

აზერბაიჯანულ ენაზე გამოდის ჩეხოსლოვაკიური პოეზიის ანთოლოგია, მასში შესულია ორმოცდაშვიდი ავტორის ნაწარმოებები. ესენი არიან დაწყებული კარელ გინეკ მახიდან (XIX საუკუნის დამდეგი) და დამთავრებული თანამედროვე პოეტიო მიროსლავ ფლორიანით. ლექსები ძირითადად თარგმნეს ნიჰიერმა ახალგაზრდა პოეტებმა. გამოცემის რედაქტორია აზერბაიჯანის სახალხო პოეტი რასულ რზა. მან თარგმნა მთელი ანთოლოგიის დაახლოებით მეოთხედი. შესავალი სტატია დაწერა თვალსაჩინო ჩეხმა პოეტმა და მთარგმნელმა ირჟი ტაუფერმა.

ახალი ამბები · ცოცხალი

ხელოვნების ქრონიკა

თბილისის ლენინის რაიონის კულტურის სახლთან არსებულმა სახალხო თეატრმა საარეოს ჩარის ფაბრიკის კლუბში (ხობის რაიონი) მაყურებლებს უჩვენა დიდი სამამულო ომის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი თ. ფერაძის სამმოქმედებიანი დრამა „ოდიშელი არწივი". დადგმამ მაყურებლების მოწონება დაიმსახურა.

რ. ძაჯაია.

საჩხერე. (საკ. კორ.). კარგად მუშაობს რაიონის კულტურის სახლის დრამატული კოლექტივი. მან მომამზადა ს. მთვარაძის „სახსოვარი", რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", კ. გოგიაშვილისა და გ. პატარაიას სკეტჩები, ფელეტონები და სხვ.

დრამატულმა კოლექტივმა სოფლების მოძვის, ჯალაურთის, მოხვის, საირხის კოლმეურნეებს უჩვენა თავისი შემოქმედება.

საავადმყოფოს მიღებიჯა საკაბიტო წოდება

საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიამ ბუთაისის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს მიღებიჯის კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება და დაჯილდოვეს საქართველოს პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და სამინისტროს საპატიო სიგელით.

◆

მაღალი ჯილდო

არაერთი შრომითი გამარჯვებით უსახელებიათ თავი ქართველ ავიატორებს. ისინი თავიანთ კოლეგებთან ერთად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული და ახალი წარმატებებისათვის იბრძვიან.

ახლახან სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტრომ და ავიამუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს სოცშეჯიბრის მეორე კვარტალის შედეგები.

ქართველმა ავიატორებმა სასახარულო ცნობა მიიღეს — სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს. ტერიტორიალური სამმართველოს კოლექტივს მიენიჭა მესამე პრემია.

ა. მარგელოვა.

• შემთხვევები •

სიმამაცე

ქ. აბაშაში მახარაძის ქუჩაზე მცხოვრებ პანტერიას ოჯახის წევრები კოლმეურნეობის მინდვრებში იყვნენ სამუშაოდ წასული. შინ მხოლოდ ბებია და წლინახევრის შვილიშვილი დარჩენილ-ლიყვნენ. ეფეცრად სახლში ხანძარმა იფეთქა. ცეცხლი სულ უფრო ძლიერდებოდა.

ეს მეზობელმა ს. ტყეტუბუჩავამ შეინშნა. ის და მისი ეიეშვილი მაშინვე შეებრძოლნენ ხანძარს. საკუბენაოში ბენზინით სავსე კასრი აფეთქებულიყო. გადარეარებული კასრი მყისვე ეზოში გადაისროლეს და შემდეგ ხანძარიც ჩააქრეს. ს. ტყეტუბუჩავამ და მისმა ეიემა ნოდარმა დამწვრობა მიიღეს, მაგრამ დაღუპვას გადაარჩინეს ორი ადამიანი.

ივ. თოფურია.

გადარჩენა

ახალი ათონის სადგურიდან გამოსული სახალხო მატარებელი თბილისი-როსტოვი სანაპიროს სადგურის მეორე თავისუფალ ლიანდაგზე მიიღეს.

სადგურის მორიგემ შეცდომით გუდაუთიდან მომავალ მატარებელს სოჭი-სოხუმსაც იმავე ლიანდაგზე შემოსვლის ნებართვა მისცა.

სადგურში შესვლისას ორივე მატარებლის მემანქანეებმა შეამჩნიეს მოახლოებული საფრთხე და სულ რაღაც წამებში, ნებისყოფის მთელი დაძაბვით შეძლეს მატარებლები ერთმანეთისაგან რამდენიმე ათეული მეტრზე შეეჩერებინათ.

გზის უფროსის ბრძანებით სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეებს დ. კვანტიძეს და ი. სარჯველაძეს გამოეცხადათ მადლობა და გადაეცათ ფულადი ჯილდო.

ვ. მაისურაძე.

ტაიგის მცხოვრებნი ცოლ-ქმარი გალინა და სერგეი მატვეევები დათვზე საფიქრალზე იყვნენ. ტყეში ბუნაგს დამდგარნენ. მალე ბუნაგიდან ზანტად გამოვიდა ტაიგის „მეფე"—დიდი დათვი. მაორკე გასროლილი დათვი იქვე მოკლეს. ახლა მეორე, უფრო მომცრო დათვი გამოვიდა. იგი გალინას ნასროლმა ტყვიამ დასცა. კიდევ მესამე, მეოთხე და მეხუთე დათვი, თოფქოს თავის რიგს უცდიდნენო, გამოვიდნენ ბუნაგიდან ერთიმეორის მიყოლებით, და ხუთივე დათვი ბუნაგთან დასცეს გულადმა მონადირეებმა.

ხუთნი ერთ ბუნაგში

• ლეგენდა-სინამდვილე •

ცხვრის შვილობილი

ბატარძეული ჩემი წინაპრების სამშობლო სოფელია. ისინი ხომ აქ დაიბადნენ, აღიზარდნენ, დაკუკაცდნენ და სამშობლოს, ერის ერთგულების სამსახურში გაატარეს ზეთისოფელი. თაყვანსა ვცემ და პირუთვნელად მიყვარს მშობლიური პატარძეული, ვეამბორები მის მოძძრავსა და უძრავს, ყველფერს, რასაც ბავშვობისას ვეტრფოდი და რასაც შუახანს მიღწეული მოვეხსენარი.

გუშინდელი დღესავით მახსოვს იქ გატარებული ბავშვობის საამო წლები. მაგონდება თბილისიდან არდადეგებზე წასასვლელად რომ ვემზადებოდით ხოლმე, ბებიაჩემის — მაშოსა და პაპაჩემის — იაგორასათვის დედაჩემი ყოველთვის დამარილებულ თევზსა და ლიმონათს ყიდულობდა... ჩემ ტოლ-მეგობრებისათვის კი ფოჩებიანი კამფეტები მიმქონდა.

სოფელში ჩავიდოდი თუ არა, გაგიხარიან მაშინვე მოვინახულებდი ბიბეს ჯილაურიანთ. ჩიხლაანთ, უსტიაანთ უბნებში და მინდორ-ველებს შემოვირბენდით, ვეძებდით ჩიტის ბუდეებს, ვიჭერდით კალიებს და ლამაზ ჭრელ-ჭრელ პეპლებს... როგორც კი შემოღამდებოდა, უბნის შარაზე, ღობეებთან ხისძირას ჯგუფდებოდა გლეხკაცობა. ვინ იცის რაზე არ ბაასობდნენ, მერე წამოიწყებდნენ სიმღერებს, გაშაირებას ფანდურზე, ცეკვა-თამაშს... ჩვენ — პატარები კი ყველაფრის მოსმენას და ნახვას ვახერხებდით.

მრავალ სიხარულსა და სიკეთესთან ერთად ჩემს გონებაში სამუდამოდ აღიბეჭდა ლეკების მთქმელის ძია შაქროს შემზარავი და გულამაჩუყებელი ნაამბობი, რომელიც ნამდვილ ზღაპარს წაგავდა. მან ბოლოს ასე დასძინა:

„რაც მოგიყევით, მოგონილი არ გეგონოთ, სინამდვილეა, რა ვუყოთ, რომ ეს ამბავი საუკუნეებმა ლეგენდად შემოგვინახა".

... მაშინ პატარა ვიყავი და, ცხადია ისტორიის სიმაღლესთან ძალზე დაბლა ვიდექი და მხოლოდ ოთხი ათეული წლის განვლილ გზაზე, როცა ჩემი ერის თავგადასავალი შეეისისხლხორცე. ძია შაქროს მაშინდელი ნაამბობი სულაც არ გაჩკვირვებია და, მიუხედავად ასეთი მტკიცე რწმენისა, გადავწყვიტე მენახა აწ უკვე საუკუნის მიწას მიღწეული შაქრო ესტატეს-ძე ცხვრისშვილი, რომ ერთხელ კიდევ დავმტკიცებიყავი სულსა და გულში ჩამწედომი მისი სიბრძნე.

ჩავედი პატარძეულში და რას ვხედავ — ცხვრისშვილების უბანში, შიოს ეკლესიის გალავნის ახლოს, კაკლის ხის ძირას თავმოყრილ ახალგაზრდობას შუა იჯდა ბერიკაცი და დინჯად ჰყვებოდა:

„ჩემო პატარძეულო, ოთხასი წლის წინათ პატარძეული აქ როდი იყო. სოფელი აგე იქ, ბრიზიაანთ ციხის ზემოდან, თოხლა მთის ფერდობზე ყოფილა გაშენებული. ჩემი წინაპრების — მამაჩემ ესტატეს, ბიძაჩემ სოლომონის, დიდი პაპების გარსევანის, პეტრეს, დავითის გადმოცემით, მთელ კახეთს ამ ჩვენს სპასელებს შემოსევიან. მოწინააღმდეგენი ბევრი დაუხოციათ, ჭამბას გადარჩენილი კაცი, ქალი, ბავშვი და პირუყვნი თან გაურეკიათ, სოფელი დაუწვავთ, დაუფერფლიათ... ერთი მოხუცი, გვარად უუშტაშვილი, შეშის საჭრელად ყოფილა წასული და მეორე დღეს ტყიდან რომ დაბრუნებულა, სულიერი აღარავინ დახვედრია სოფელში. გაოგნებული მოხუცი მიწაზე პირქვე დაცემულა და აქვითინებულა. უცაბედ თორმე ცხვრის ბღავილი გაისმა. მოხუცი ჭამსვე წამოვარდნილა და ცხვრის გამუდმებული ბღავილის ხმას გაჰყოლია. მაგრამ ცხვრის ხმა ბღავილი უეცრად შემწყდარა... დამწუხრებულმა ფერფლად ქცეული სოფელი მოიარა, ვერავინ ვერ ნახა. უიმედოდ ხელი ჩაიქნია და ამ დროს ფაჩუნიც მოესმა. გაიხედა და ცეცხლით შერუჯული ჭერმის ხის ძირას, დანგრეული ბოსლის ახლოს ცხვარი შენიშნა, რომელსაც შავტუხა, ჩამკვრივებული ბუთხუზა ბიჭი ბისკვიმოდა და ორივე ხელით ცხვრის ცურს ჩაჭიდებული ხარბადა სწოვდა. ამის დანახვაზე მოხუცს ენა ჩაკარდნია და როცა ბოსლს მოსულა დაუჩაჭია, პირჯვრი გადაუწერია. მაღლა ალუპყრია ხელები და წარმოუთქვამს:

— ღმერთო, მისმინე, თუ ხარ სადმე. ამას რას ხედავს ჩემი თვალები, ნუთუ ყოველივე ეს მართალია?!

მოხუცი ფიხაკრეფით მიუახლოდა ცხვარს, მაგრამ ბავშვს როგორც კი შეუნიშნავს ადამიანი, წამომდგარა, თვალლებდაჭყეტილი, შეშინებული თურმე უკან იხედა.

— ნუ გეშინია, შვილო, მე სპასელი არა ვარ. აქაური ვარ, მოდი ჩემთან, ნუ გამირბიხარ, შე ჩემსავით ოიღბლო და გვარამწყვეტილო. მოდი, შენს გაზრდას, ხმა გამეცი. მითხარი, ვისი ხარ?..

პატარა ბიჭი ეაოცებოდა, გაფითრებული ბოსლის ნანგრევებს მიეკრა და ტირილი მორთო.

მოხუცმა ბავშვს ხელში აიყვანა, მიუალერსა, დაანყნარა და მკერდში ჩაიკრა. ცხვარი კი გაუნძრეველად იდგა, ეიდგა და ელოდა ბავშვს...

— ეეხ, რას მოვესწარი ბედკრული, ადამიანი ადამიანს არ ინდობს, — ამოოხრა მოხუცმა და ცხვარს მიუბრუნდა: — გმადლობთ, ცხვარო, კეთილო ცხოველო! შენ ხომ დასაღუპად განწირულ ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნე.

მოხუცს ეს ბიჭი იმ ცხვრის რძით გაუზრდია და გვარიც ცხვარიაშვილი დაურქმევია. შემდეგ დაოთხშვილებულა. შვიდი ვაჟი და ორი ქალიშვილი გასჩენია და, დღეს რომ პატარძეულში ცხვარიაშვილები ვცხოვრობთ, ამათი წარმოშობისანი ვართ. მე მეთოთხმეტე თაობა ვარ. ჩემი შვილები და შვილიშვილები მეთხუთმეტე-მეთექვსმეტენი არიან. ჩემო პატარებო, ნუ დავიწყიბთ თქვენს წარსულს, ვთხოვთ თქვენს მომავალ თაობას გადასცეთ ეს ნამდვილი ამბავი, რომელიც საუკუნეებმა დღემდე ლეგენდად შემოგვინახა.

გ. პაპიაშვილი.

* * *

სურათზე: შაქრო ცხვარიაშვილი თავისი უბნის ბავშვებთან.

ეს კითხვა კვლავ გამოცანად რჩება.

ჭალი თუ ლარსენი?

აი მატჩი თითქმის მიიწურა, გათამაშდა უკვე შვიდი პარტია, მაგრამ მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ამ ნახევარფინალზე ჯერ კიდევ არა ჩანს ბ. სპასკის მეტოქე.

მართლაც უჩვეულოდ მიმდინარეობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მ. ტალისა და დანიელი გროსმაისტერის ბ. ლარსენის მატჩი. ანგარიში კვლავ თანაბარია — სამით სამი ერთი გადადებული პარტიით.

მშვიდე პარტიაში ლარსენი თეორიით თამაშობდა. საგულისხმოა ერთი დეტალი. თუ გადავალებთ თვალს განვლილ პარტიებს, ყველა გამარჯვება თეორებზე მოდის. ამ ტრადიციით უნდა გვეფიქრა, რომ დანიელი გროსმაისტერი მეშვიდე პარტიაში შეეცდებოდა დაწინაურებას, მაგრამ ამჯერად ეს მან ვერ განახორციელა.

◆

რსფსრ ჩემპიონი ზონაში

გუშინ გაიმართა რსფსრ „ბ" კლასის მეოთხე ზონის გუნდების მორიგი შეხვედრები ფეხბურთში.

ტყიბულში ადგილობრივი „მეშახტე" შეხვდა ლიდერს—ნალჩიკის „სპარტაკს", პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. შეხვედრის მეორე ნახევარში ანგარიში ტყიბულელებმა გახსნეს, მაგრამ სტუმრებმა შეძლეს სპასუხო ბურთის გატანა და მატჩი ფრედ (1:1) დაამთავრეს.

გურჯაანის „ალაზანს" ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი — კიროვაბადის „დინამო" ეწვია. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. ტაიმის შედეგი იყო 1:0 დინამოელთა სასარგებლოდ. მართალია, მეორე ნახევარში გურჯაანელმა ფეხბურთელებმა ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე სტუმრებმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანეს და მოიგეს მატჩი 2:1.

ბურჯაანის „ალაზანს" ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი — კიროვაბადის „დინამო" ეწვია. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. ტაიმის შედეგი იყო 1:0 დინამოელთა სასარგებლოდ. მართალია, მეორე ნახევარში გურჯაანელმა ფეხბურთელებმა ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე სტუმრებმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანეს და მოიგეს მატჩი 2:1.

სპორტული ქრონიკა

△ იუგოსლავიაში დამთავრდა საერთაშორისო მრავალდღიანი ველოსრბოლა. ამ ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. პირად შეჯიბრებაში უძლიერესი იყო იუგოსლავიელი ველოსმრბოლი ვილიჩი.

△ მსოფლიოს პირველობის კიდევ ორი შესარჩევი მატჩი შედგა ფეხბურთში სამხრეთ-ამერიკის სტადიონებზე. სანტიაგოში ჩილის ნაკრები შეხვდა კოლუმბიელ ფეხბურთელებს და დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 7:2. ბუენოს-აირესში პაგერობა ჰქონდათ არგენტინისა და პარაგვაის გუნდებს. გაიმარჯვეს არგენტინელებმა 3:0.

△ სსრ კავშირის ჰოკეისტთა გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია ჩვენი ქვეყნის მეორე და ახალგაზრდული ნაკრების გუნდების მოთამაშეებისაგან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეწვია. აქ საბჭოთა ჰოკეისტებს პირველი მატჩი ჰქონდათ ამ ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს საკლუბო გუნდ „ფეუსენთან" და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:0.

სპარტაკიადის ერთი დღე

მოსკოვი. 3 აგვისტო. (ტელეფონით სპეც. კორ.). დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს პროფკავშირული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობები.

ფინიშს უახლოვდება ჩოგბურთელთა პირადი ასპარეზობა. ქალთა წყვილებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს **ივანოვასა** და **ერმოლოვას** ნახევარფინალში **ოლენა ბუსელიანი** და **კაკულია-პერეგუდოვი** თანმიმდევრულად მეხუთე-მეშვიდე ადგილებისათვის იბრძვიან.

თანამედროვე ხუთჭიდელთა ასპარეზობა დასასრულს უახლოვდება. სპორტსმენებმა დაამთავრეს შეჯიბრება სამ სახეობაში. გუშინ ცურვაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდი მერვე ადგილზე იყო. სამი სახეობის შემდეგ ლიდერია რსფსრ სპორტსმენთა კოლექტივი. საქართველოს ხუთჭიდელები მეცხრე ადგილზე არიან.

მამდინარეობს შეჯიბრება ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. თბილისის კიროვის ახალგაზრდა ჩარხსაშენებელი ქარხნის სპორტული კლუბის „გამარჯვების" გუნდი მე-13 ადგილზეა.

გუშინ დამთავრდა შეჯიბრება ჭიდაობა სამბოში. დიდი წარმატება ხვდათ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს. მათ პირველი გუნდური ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს. პირად ასპარეზობაში საქართველოდან ჩემპიონები გახდნენ — **ლ. კაციაშვილი, ბ. ბადეკაშვილი** და **ა. ზურაბაული.**

გამოვლინდა ჩემპიონები კალათბურთში. ქალთა გუნდებიდან უძლიერესი იყო ლატვიის გუნდი. საქართველოს ქალათბურთელებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს. ვაჟთა კოლექტივებს შორის წარმატება უყრია ნელებს ხვდათ. საქართველოს გუნდი მეშვიდე იყო.

ფიფერი და სახელმწიფო დეპარტამენტი

ნიუ-იორკი. 8 აგვისტო. (საკ-დესი). გამოჩენილი ამერიკელი მოჭიდრაკე რობერტ ფიშერი მონაწილეობას ვერ მიიღებს ამა წლის ერთ-ერთ უდიდეს შეჯიბრებაში — შესანიშნავი კუბელი გროსმაისტერის ხოსე-რაულ კაპაბლანკას ხსოვნის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. ამ ტურნირზე (ტურნირი იხსნება ჰავანაში 23 აგვისტოს და არა 25 აგვისტოს, როგორც წინათ იყო გამოცხადებული) მიწვეული არიან საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, დანიის, ჰოლანდიის, არგენტინის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო მოჭადრაკენი.

მიიღო რა მიწვევა კაპაბლანკას ფორუმის ორგანიზატორებისაგან, გროსმაისტერმა ფიშერმა სახელმწიფო დეპარტამენტს სთხოვა მიეცა მისთვის საზღვარგარეთული პასპორტი ჰავანაში გასამგზავრებლად. მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტმა, რომელიც ერთგულად იცავს დისკრიმინაციულ პოლიტიკას კუბის მიმართ, უარი უთხრა ფიშერს იმის საფუძველზე, რომ საქმე შეეხება საგარეო-პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებს.

მიუხედავად იურისტის განმარტებისა, რომელსაც მიმართა ფიშერმა და რომელმაც აღნიშნა, თუ რა ბუნებრივია ამერიკელი მოჭადრაკის კუბაში გამგზავრების აკრძალვა, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა დაადასტურა ამერიკის მთავრობის გადწყვეტილება, რომელიც ამერიკელებს უკრძალავს კუბაში გამგზავრებას.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

◆

ტელევიზია

4 აგვისტო

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „მაია წყნეთელი", 19.35 — განცხადებები, 19.40 — გადაცემა „ეკონ და „კომპეზიტორი" — დავით თორაძე, 20.10 — გადაცემა „სეკაზიალაპის საიდუმლო", 20.20 — კინონარკვევი, 20.40 — გადაცემა „მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ცხოვრება", 21.15 — მხატვრული ფილმი „ბრალდებული", 22.45 — ახალი ამბები,

რადიო

4 აგვისტო

პირველი პროგრამით

09.15 — ქალაქური სიმღერები, 10.15 — ეფა-ეშმაველა. „ფიქრები ვეფხისტყაოსანზე", 10.55 — ს. პროკოფიევი. პირველი სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის, 11.15 — სცენები საბჭოთა კომპოზიტორების ოპერებიდან, 12.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 12.45 — რუსული რომანსები, 13.10 — ნ. გუდიაშვილი. სამი მინიატიურა ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის „ჩემი სამშობლოს ველებზე", 13.40 — უკრაინული სიმღერები და საცეკვაოები, 14.00 — გლაზუნოვი. სიმფონიური პოემა „ტტეფანე რაზინი", კონცერტი ვიოლონჩოსა და ორკესტრისათვის (მოსკოვი), 17.15 — ო. კუზნეცოვასა და შ. კოკანის კონცერტი, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — ე. ჯაბადარი. ქართული რომანსები, 18.45 — სიმღერები რ. ნემეროვის შესრულებით, 19.30 — საუბარი — „ტექნიკური პროგრესი ადამიანი და ფსიქოლოგია", 19.40 — შ. გუნო. ფრაგმენტები „ფალეტრგის ღამიდან", 20.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი", 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — კონცერტი-სუბბარი: „სკრიაბინი", 22.00 — ლიტერატურული კომპოზიცია „ჰაიოლო ია-ფალი", 23.30 — მსოფლიოს ხალხთა სიმღერები.

„დინამოს" სტადიონი

აკ. წერეთლის პროსპ. № 2.

ტელ. 5-21-62.

4 და 5 აგვისტოს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა" კლასის გუნდებს შორის

„დინამო" კიევი — „დინამო" თბილისი

4 აგვისტოს სათადარიგო შემადგენლობა

დასაწყისი 19 საათზე.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში სათადარიგო შემადგენლობათა თამაში გადატანილ იქნება „ბურევესტნიკის" სტადიონზე — დასაწყისი 18 ს. 15 წ.

5 აგვისტოს ძირითადი შემადგენლობანი.

დასაწყისი 20 საათზე.

5 აგვისტოსათვის ბილეთები წინასწარ გაიყიდება „დინამოს" სტადიონის სალაროებში ყველა სახის ამონაგებებზე 4 აგვისტოს 12-დან 19 საათამდე, შესვენება 15-დან 16 საათამდე. ბილეთების საერთო გაყიდვა 5 აგვისტოს 10 საათიდან.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საგანგებო

აცხადებს დამატებით მიღებას ასპირანტურაში 1965 წლისათვის

მეცხოველეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში (დიღომი) წარმოებისაგან მოწყვეტით შემდეგ სპეციალობაში: ყურძნისა და ხილეულებიანი სასმელებისა და ღვინის ტექნოლოგია — 1 ადგილი.

მისაღები გამოცდები 1965 წლის 10 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.

დაწერილებითი (ენობების მიღება) შეძლება ინსტიტუტში.

რედაქტორი

დ. მეეფლიშვილი.

ტექნიკის სიახლენი

ფოტოსურათი—რამდენიმე წამში

ნუ გაგიკვირდებათ, თუ სულ ახლო მომავალში ქუჩაში ტროტუარის მახლობლად დადგმული ავტომატი ნახოთ ასეთი წარწერით — „მომენტალური ფოტოგრაფია". საკუთარი სურათის გადაღების მსურველი შედგება ავტომატის საფეხურზე. ჩაიგდებს გროშს ავტომატში, გამოჩნდება ფოტოობიექტივი, ერთი გაჩხაკუნდება, და სამი წამის შემდეგ ავტომატის სპეციალური სარკლიდან საფეხურზე მდგარის მზაშმზარეული სურათი გამოსრიალდება.

ლენინგრადის კინოსაინჟინრო ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა დაამუშავეს გადაღებული ფოტოფირის გამოღვენებისა და მისგან სურათის დაბეჭდვის ჩქარსანული მეთოდი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტომატურ ფოტოდანადგარში. ავტომატი აღჭურვილი იქნება მაღალი აქტივობის გამამეღვენებელი და ძლიერი მასტაბილიზებელი ხსნარებით. ხოლო იმ მომენტში, როცა სურათი უნდა დამუშავდეს, ავტომატში განვითარდება შესაფერისი ტემპერატურა. გადაღებული ფირის გამეღვენებას დასჭირდება ერთი წამი, ფიქსაციას ნახევარი წამი. არც გადაღებულ ფირს და არც დაბეჭდილ სურათს გარეცხვა არ სჭირდება.

ლენინგრადელი კონსტრუქტორები უკვე შეუდგნენ ასეთი ავტომატის კონსტრუირებას.

თბური ენერგიიდან — ელექტროენერგია

აკადემიკოს ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტში შარშან გამართეს მსოფლიოში პირველი ისეთი დანადგარი, რომელიც თბურ ენერგიას უშუალოდ გარდაქმნის ელექტროენერგიად. ამ დანადგარის მუშაობამ საბოლოოდ დადასტურა, რომ პრობლემა თბური ენერგიის პირდაპირი, უშუალო გარდაქმნისა ელექტროენერგიად ტექნიკურად გადაჭრილია და შეიძლება ატომური ენერგიიდან უშუალოდ მივიღოთ ელექტროენერგია.

დანადგარს საბჭოთა ფიზიკოსებმა პოეტური სახელი „გვირილა" („რომაშკა") უწოდეს. იგი ათვალისწინებული იყო მოკლე დროის განმავლობაში ექსპერიმენტების მოსახდენად, მაგრამ ეს საექსპერიმენტო დანადგარი უაღრესად ხანგძლივ აღმოჩნდა, ჯერ ერთ ნახევარ წელიწადზე მეტია შეუფერებლად მუშაობს, განაგრძობს ელექტროდენის მიცემას.

ლიფტი—კვამლსადენთა მშენებლებისათვის

ქიმიური მრეწველობის ახალ, გიგანტურ საწარმოთა მშენებლობის გაჩაღებასთან დაკავშირებით, სადაც ზოგჯერ საჭიროა ზემაღალი კვამლსადენების აგება, წარმოიშვა ამ კვამლსადენთა მშენებლების შრომის პირობების გასუფთავებისებლად სპეციალური ამწე — ლიფტის შექმნის ამოცანა. კვამლსადენ მაღალ მილებს (180 მეტრამდე სიმაღლისას) ჩვეულებრივად აშენებენ შიგნიდან დატანებული რკინის კიბეებზე ასვლის საშუალებ